# სარბიელი

სპორტული გაზეთი — პარასკევი 5 დეკემბერი 2003 №232 (2003) — ფასი 50 თეთრი




# რევოლუცია ვისწავლეთ, გავიხსენოთ ფეხბურთი! დღეს საქართველოს ბედი წყდება

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006



## საფრანგეთი 98

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 8 | 6 | 1 | 1 | 15:2 | 19 |
| იტალია | 8 | 5 | 3 | 0 | 11:1 | 18 |
| პოლონეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:12 | 10 |
| საქართველო | 8 | 3 | 1 | 4 | 7:9 | 10 |
| მოლდოვა | 8 | 0 | 0 | 8 | 2:21 | 0 |

## კორეა-იაპონია 2002

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 8 | 6 | 2 | 0 | 16:3 | 20 |
| რუმინეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 10:7 | 16 |
| საქართველო | 8 | 3 | 1 | 4 | 12:12 | 10 |
| უნგრეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 14:13 | 8 |
| ლიტვა | 8 | 0 | 2 | 6 | 3:20 | 2 |

## გერმანია 2006

?



# დღეს ვახშამად რა გვექნება?

## ფიფა საქართველოს მესამედ ამოუღებს

დღეს ფრანკფურტის საგამოფენო ცენტრი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრას მასპინძლობს.

ქართული დელეგაცია, რომელსაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ხელმძღვანელობს, ფრანკფურტს გუშინწინ ესტუმრა. ჟორდანიას გარდა წილისყრას გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, ვიცე-პრეზიდენტები ალექსანდრე ჩივაძე და რომან შოთაძე დაესწრებიან.

გუშინ ფიფამ ევროპული ქვეყნების წარმომადგენლები ოფიციალურ ვახშამზე მიიწვია, რის შემდეგაც ჩვენებს რამდენიმე კერძო შეხვედრა ჰქონდათ დაგეგმილი, მათ შორის ფრანგ მწვრთნელ ანრი მიშელთან.

— ფიფას ოფიციალური ვახშმის შემდეგ ვფიქრობთ, ჩვენს პარტნიორებს შევხვდეთ, თუმც კონკრეტულად ვისთან ვისაუბრებთ, ჯერჯერობით ვერ გეტყვით. საქართველოს დელეგაციამ წილისყრაზე დასწრების აკრედიტაცია უკვე მიიღო და ხვალ საღამომდე დროის მაქსიმალურად გამოყენებას ვეცდებით, შევხვდებით ჩვენს კოლეგებს, ფიფა-უეფას წარმომადგენლებს — გვითხრა ფედერაციის გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ, რომელსაც გუშინ ფრანკფურტში დავუკავშირდით.

წილისყრა საგამოფენო ცენტრში დღეს ჩვენი დროით 8 საათზე დაიწყება, მანამდე კი ზეპ ბლატერის ნახევარსაათიანი მისასალმებელი სიტყვა იგეგმება. წილისყრის ცერემონიალის პირდაპირი რეპორტაჟი გერმანულ არხებზე იგეგმება.

შეგახსენებთ: საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევს მესამედ იწყებს

**ქობა ინასარიძე**

*ბრაზილიურად მართული ქუთაისის „ტორპედო“ დაკარგულ სახეს იბრუნებს. მე-15 ეროვნულის პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურში ქუთათურებმა 5:1 დაჩაგრეს „მცხეთა“ და სანუკვარი ზეექვსეულისკენ ერთი ნაბიჯიც წადგეს. მართალია, ბოლო წლებისგან განსხვავებით „ტორპედოსთვის“ ექვსეულში მოხვედრა მეტისმეტად მოკრძალებული შედეგია, მაგრამ...*

*ჟოაო კამპუშისთვის ეს პირველი ამოცანაა, რისი ამოხსნაც საქართველოში მოსთხოვეს. ბრაზილიელი მწვრთნელი კი გზის გაგრძელებას აპირებს — მხოლოდ ექვსეული რა ბედენაა, ქუთაისში ამისთვის არ ჩამოვსულვარო.*

*ჟოაო კამპუში — 49 წლის ბრაზილიელი, რომლის შესახებაც „სარბიელის“ მკითხველს მაინცდამაინც დიდი ინფორმაცია არ უნდა ჰქონდეს. ჰოდა, გაიცანით...*



# რატომ დარბიხართ ასე ნელა?

## ჟოაო კამპუში: მე აქ ჩემპიონობისთვის ჩამოვედი

**— თავიდან „მცხეთასთან“ გუშინდელ გამარჯვებას მოგილოცავთ. ალბათ, კმაყოფილი ხართ...**

— მილოცვისთვის მადლობას გიხდით. ცხადია, ძნელია, მწვრთნელი უკმაყოფილო იყოს, როცა მისი გუნდი დიდი ანგარიშით იგებს, მაგრამ აქ სხვა ფაქტორებიცაა გასათვალისწინებელი. მომეწონა ის, რომ ბიჭებს ბევრი რამ კარგად გამოუვიდათ — გრძელი პასი, სისწრაფე, ტემპი... ეს კომპონენტები სხვა მატჩებისგან განსხვავებით გუშინ უფრო კარგად გამოვაჩინეთ. აქამდე ეს იყო ყველაზე დიდი პრობლემა „ტორპედოსთვის“. „მცხეთასთან“ სათამაშოდ ერთი კვირა ძალიან სერიოზულად ვემზადებოდით და შედეგი რომ არ მიმეღო, ძალიან საწყენი იქნებოდა. საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს იმის ნახევარიც არაა, რასაც ვითხოვ.

**— დიდი ხანი არაა, „ტორპედოში“ მუშაობთ. პროგრესს ამჩნევთ?**

— შედარებაც კი არ შეიძლება. ახლანდელი „ტორპედო“ სულ სხვა გუნდია.

**— როცა „ტორპედოს“ სათავეში ჩაუდექით, გუნდი აუტსაიდერთა შორის იყო. ელოდით, რომ ექვსეულში მოსახვედრად მაინც იბრძოლებდით? ბევრი უკვე ჩამოწერილად თვლიდა გუნდს...**

— ვერ გეტყვით, რას ველოდი და რას არა, მაგრამ ძალიან მიხარია, რომ შრომამ შედეგი მოგვიტანა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს თანაშემწე ჟოაო კარლოსს. მისი დახმარებით ბიჭებმა სიმსუბუქე იგრძნეს. იმედი რომ არ მქონოდა, ალბათ, ამ საქმეს ხელს არც მოვკიდებდი. ჯერ ფინიშამდე არ მივსულვართ — კვირას ერთ დიდ გამარჯვებასაც ვიზეიმებთ და ექვსეულში შევალთ.

**— თქვენმა ჩამოსვლამ საფეხბურთო საქართველოს ახალი სალაპარაკო თემა მისცა — „ტორპედოში“ ყმაწვილი ტალანტები გამოჩნდნენ...**

— ძალიან გამიხარდება, თუ ეს ბავშვები კარგ ფეხბურთს ითამაშებენ. ნადირაძე, დარსაძე... ბევრი შრომით ამათ წარმატებების მიღწევა შეუძლიათ.

**— სად აღმოაჩინეთ ისინი? გიორგი დარსაძე გუნდში ადრეც იყო, მაგრამ ნიკა ნადირაძეზე აქამდე არაფერი გვსმენოდა...**

— ქუთაისში ჩამოსვლისთანავე კლუბის ხელმძღვანელობასთან ბევრი საკითხი განვიხილეთ. გუნდში ფეხბურთელების უკმარისობა იყო და გადავწყვიტეთ, ფარმ-კლუბისგან მიგვეღო მცირე შევსება. როგორც ხედავთ, ჩვენმა არჩევანმა გაამართლა. ნადირაძეზე უკვე ბევრი ლაპარაკობს...

**— და ეს ლაპარაკი და პრესის შექება ცუდად ხომ არ იმოქმედებს მასზე?**

— არა, ნიკა ჯერაც ბავშვია და ასე მალე არ გაფუჭდება. მას კიდევ ბევრი აქვს სასწავლი და თუ ერთ ადგილზე გაჩერდა, თავს დაიღუპავს. მე ყოველდღე ველაპარაკები ამ ბავშვებს. მართალია, ძალიან პატარები არიან, მაგრამ უკვე მეგობრები ვართ. რჩევა-დარიგებებს ვაძლევ. მთავარია, დამიჯერონ და ბევრი იშრომონ. ისინი ამას შეძლებენ, დარწმუნებული ვარ.

**— საქართველოს ჩემპიონატში რომელი კლუბი მოგეწონათ ყველაზე მეტად?**

— ვერც ერთს ვერ გამოვყოფ. ჩემს თვალში ყველა ერთი დონისაა. ახლა „ტორპედოთი“ ვარ დაკავებული და სიმართლე გითხრათ, სხვა გუნდები დიდად არც მაინტერესებს.

**— საქართველოში ჩამოსვლამდე თქვით, ქართული გუნდები ძალიან ნელა თამაშობენო. აზრი ხომ არ შეგიცვლიათ?**

— არა, ახლაც იგივეს ვიტყვი. ჩემს ფეხბურთელებს გამუდმებით ვეუბნები, რომ ქართული ფეხბურთი ძალიან ნელია. ეს წარმოუდგენელი ტემპია. ასე არაფერი გამოვა. ამიტომაც ვცდილობ, რომ „ტორპედოში“ უფრო მეტი ბრაზილიური ელემენტი შევიტანო. ვერ გამიგია, რატომ თამაშობს ყველა გუნდი შიშით. რატომ აბრუნებენ ბურთს უკან ასე ხშირად? მსგავს რამეს ბრაზილიაში ვერსად ნახავთ. ეს სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს.

**— არადა, ადრე საქართველოსთვის ხშირად უწოდებიათ „პატარა ბრაზილია“...**

— მართლა ასე იყო? ძალიან საინტერესოა. ყოველ შემთხვევაში, ეგ სიტყვები მომეწონა და ნაწილობრივ ვეთანხმები კიდეც, ოღონდ არა სათამაშო ტემპში. ბრაზილიური ფეხბურთი ყველამ იცის, რაც არის.

**— ექვსეულისგან ბევრიც არაფერი გაშორებთ და, ალბათ, დაპირებისამებრ, „ტორპედოში“ ბრაზილიელი ფეხბურთელებიც გამოჩნდებიან...**

— არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო. ჯერ ექვსეულში შევიდეთ და მერე ბრაზილიელებსაც მივხედავთ. „ტორპედოში“ ასეთი მოკრძალებული შედეგის მისაღწევად არ მოვსულვარ. ისეთი გუნდი უნდა გავაკეთოთ, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ეს ჩემი უპირველესი მიზანია — საქართველოს ჩემპიონობა მინდა.

**— თამაშისას სულ მოძრაობთ. ასეთი ემოციური ხართ თუ...**

— არა, უბრალოდ, ასე ითხოვს სიტუაცია. ბიჭებთან თავიდანვე ვილაპარაკე ამის შესახებ. მათ ემოცია აკლდათ, დაცლილები იყვნენ. ბრაზილიაში სხვანაირადაა, ყველა თამაშს თავისი ემოცია და მუხტი აქვს ფეხბურთელისთვის. მინდა, რომ ჩემმა ბიჭებმაც ისე ითამაშონ.

**— ფეხბურთელებს ძალიან ხშირად უცვლით პოზიციებს. ეს თქვენი სტილია თუ ჯერ კიდევ ძიებაში ხართ?**

— ეს ბრაზილიური სტილია. ფეხბურთელებს ადგილებს პრინციპულად ვუცვლი. ყველამ უნდა იცოდეს სხვადასხვა სათამაშო პოზიციის გემო. ეს თანამედროვე ფეხბურთში აუცილებელია.

**— საქართველოს როგორ შეეგუეთ?**

— თავიდან ცოტა მეუხერხულა. ვიფიქრე, აქაურობას ვერ შევეწყობი-მეთქი. სიცივეც თავისას შვრებოდა — ყურები და ხელები კინაღამ გამეყინა, მაგრამ ხალხთან ურთიერთობამ განწყობა გამომიკეთა. უკვე აქაური ვარ.

**— ქართულ ტრადიციებსაც შეეჩვიეთ?**

— ეს ცალკე თემაა. აღფრთოვანებული ვარ ქართული ტრადიციებით. ძეგლებით, ცეკვით... მსგავსი არაფერი მინახავს. ხალხი ხომ ძალიან თბილი ყოფილა.

**— ქართული სამზარეულო მოგეწონათ?**

— „ხაჭაპური“, „მწვადი“... გენიალურია. უდიდესი სურვილი მაქვს, ქართული სამზარეულო ბრაზილიაში ჩავიტანო.

**— ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ხომ არ შეგაშინათ?**

— ერთადერთი იმისი მეშინოდა, სისხლი არ დაღვრილიყო, თორემ მიტინგებით და გაფიცვებით ვერ გამაკვირვებთ. ჩვენ ისეთი პრეზიდენტი გვყავდა, რომ... ასეთები ხდება ხოლმე. იმედი მაქვს, ახალი მთავრობა ქვეყანას ფეხზე დააყენებს.

**— ახლა რაზე ფიქრობთ, რას ისურვებდით?**

— მინდა, რომ ქუთაისელებს ერთი 90-წუთიანი სპექტაკლიც ვაჩუქო. უბედნიერესი კაცი ვიქნები, თუ „ტორპედოს“ ექვსეულში შევიყვან და ასე დავტოვებ ქუთაისს. ამაზე ლამაზ შობა-ახალ წელს, ალბათ, ვერც ვინატრებ. ოჯახსაც თავაწეული დავუბრუნდები, კარგად დავისვენებ. მერე კი ისევ საქართველოში ჩამოვალ და საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას დავიწყებთ. და კიდევ: მინდა თქვენი გაზეთით ქუთაისელ გულშემატკივრებს მივმართო: დაუბრუნდით სტადიონს! ჩვენ თქვენი მხარდაჭერა გვჭირდება. გვიქომაგეთ. გპირდებით, რომ საქართველოს ლამაზი სპექტაკლით დავტოვებ.

**კახა შალამბერიძე**

### ესპანეთი

პრიმერადივიზიონი XIV ტური

რასინგი 0:4 სევილია

სარაგოსა 2:2 ბილბაო

### იტალია

თასის 1/8 ფინალი 1 მატჩები

კიევო 2:1 პერუჯა

რომა 1:0 პალერმო

ინტერი 2:1 რეჯინა

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XVII ტური

ლორიანი 1:0 ტრუა

### შოტლანდია

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

პარტიკი 0:2 სელტიკი

### მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

FIFA EMIRATES 2003

A ჯგუფი. III ტური

საამიროები 0:0 ბურკინა ფასო

სლოვაკეთი 1:0 პანამა

B ჯგუფი. III ტური

არგენტინა 3:1 მალი

ესპანეთი 1:0 უზბეკეთი

C ჯგუფი. III ტური

ბრაზილია 2:3 ავსტრალია

კანადა 1:0 ჩეხეთი

# ნამუსი აღარ არის...
# კაცი ხარ თუ უნიტაზი?!
## დაჯდება ტრიბუნაზე, გააღებს პირს და... კაცი რომ გეგონა, თურმე...

სადაური წესია და, აქაურიო...

ფეხბურთელს თამაშისას წუთით ამოსუნთქვის საშუალება მიეცა, მოედნის განაპირას პარტნიორებს გამოელაპარაკა და...

შენი დედა, შენი ცოლი, მკვდარი, ცოცხალი...

სხედან ტრიბუნაზე ასეთი ვითომკაცებიც, ლამის თვალებში უყურებენ ფეხბურთელებს და აგინებენ, აგინებენ...

როგორი მოსათმენია ამ ჩვენს კაცურ ქვეყანაში და ლადო ბურდულმაც ვერ მოითმინა ,,დილა'' — ,,დინამოს'' გორული მატჩისას და ტრიბუნას გინებითვე გაეპასუხა. საქმეში მსაჯი ჩაერია და თბილისელი გააძევა.

ფეხბურთელი ყველა შემთხვევაში დამნაშავეა, თავშეკავება მართებს, როცა სიტყვას ტრიბუნისკენ ისვრის, მაგრამ...

გორში ფეხბურთელის უმიზეზოდ შეურაცხყოფა პირველად როდი მომხდარა. ,,თენგიზ ბურჯანაძეზე'' თითქმის ყოველ მატჩს ბილწი აკომპანიმენტი ახლავს. მესერშემოვლებული ტრიბუნა მოედანს ორი-სამი მეტრითაა დაშორებული. ავყია ქომაგი კი ფეხბურთელს თვალებში შესცქერის და პირში აგინებს. ღირსების კოდექსით გინება თავ-პირის მტვრევითა და სხვა რამეებითაც ისჯება. აი, სადისციპლინო კოდექსში კი პირიქითაა, შემპასუხებელს ატყდება რისხვა — ორ-სამ მატჩიანი დისკვალიფიკაცია ფულადი ჯარიმითურთ.

ხომ არაა დრო, ენაწაგდებულმა ქომაგმაც მიიღოს თავის წილი წითელი ბარათი? პირველ ყოვლისა, პოლიციამ უნდა იფხიზლოს (სტადიონიც ხომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილია), თუ ამანაც ვერ გაჭრა და, დისციპლინარებმა იციან თავისი საქმე, თუ არ იციან, ვეტყვით — დაუკეტეთ სტადიონი ასეთ ქომაგს თუ ქომაგებს...



ზოგჯერ სტუმარი გუნდისთვის მოედნიდან გასვლაც შარი და ხათაბალაა



ლადო ბურდულმა ითმინა, ითმინა და...



საინტერესო სიახლე: გვერდითი პოლიციელი, რომელიც უსაფრთხოების მიზნით გვერდით მსაჯს დაჰყვება



მსაჯი ქურდი არ არის, საქმე არჩიოს: ბურდული მაგინებლებს აჰყვა და წითელიც მიიღო

ბაჩო კორინთელის ფოტოები

**სიმბოლური ნაკრები**

- გიორგი დარსაძე — ტორპედო
- ბორის გონჩაროვი — სიონი
- გიორგი ადამია — ვიტ ჯორჯია
- დავით კვირკველია — დინამო
- დავით ოდიკაძე — თბილისი
- შოთა ბაბუნაშვილი — ტორპედო
- ალექსანდრე კობახიძე — სიონი
- გიორგი ბალაშვილი — დილა
- ირაკლი ვაშაკიძე — ლოკომოტივი
- გიორგი ნირგაძე — ტორპედო
- ზვიად სტურუა — ტორპედო

გუნდი: ტორპედო

მწვრთნელი: ჟოაო კამპუში ტორპედო

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 21 | 14 | 5 | 2 | 44:8 | 36 | 47 | 10 | 8 | 2 | 0 | 28:2 | 26 | 26 | 11 | 6 | 3 | 2 | 16:6 | 10 | 21 |
| 2 | სიონი | 21 | 11 | 7 | 3 | 31:16 | 15 | 40 | 11 | 8 | 2 | 1 | 21:9 | 12 | 26 | 10 | 3 | 5 | 2 | 10:7 | 3 | 14 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 21 | 11 | 6 | 4 | 36:15 | 21 | 39 | 10 | 6 | 3 | 1 | 19:4 | 15 | 21 | 11 | 5 | 3 | 3 | 17:11 | 6 | 18 |
| 4 | დილა | 21 | 10 | 4 | 7 | 28:19 | 9 | 34 | 11 | 8 | 2 | 1 | 18:5 | 13 | 26 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:14 | -4 | 8 |
| 5 | ლოკომოტივი | 21 | 10 | 4 | 7 | 32:23 | 9 | 34 | 10 | 7 | 2 | 1 | 19:7 | 12 | 23 | 11 | 3 | 2 | 6 | 13:16 | -3 | 11 |
| 6 | ბათუმი | 21 | 10 | 2 | 9 | 26:23 | 3 | 32 | 11 | 6 | 1 | 4 | 15:11 | 4 | 19 | 10 | 4 | 1 | 5 | 11:12 | -1 | 13 |
| 7 | თბილისი | 21 | 9 | 5 | 7 | 40:26 | 14 | 32 | 11 | 6 | 3 | 2 | 24:13 | 11 | 21 | 10 | 3 | 2 | 5 | 16:13 | 3 | 11 |
| 8 | ტორპედო | 21 | 9 | 4 | 8 | 26:26 | 0 | 31 | 10 | 7 | 2 | 1 | 16:7 | 9 | 23 | 11 | 2 | 2 | 7 | 10:19 | -9 | 8 |
| 9 | კოლხეთი | 21 | 6 | 3 | 12 | 15:33 | -18 | 21 | 10 | 3 | 2 | 5 | 9:19 | -10 | 11 | 11 | 3 | 1 | 7 | 6:14 | -8 | 10 |
| 10 | მცხეთა | 21 | 6 | 2 | 13 | 23:52 | -29 | 20 | 11 | 5 | 1 | 5 | 16:22 | -6 | 16 | 10 | 1 | 1 | 8 | 7:30 | -23 | 4 |
| 11 | სპარტაკი | 21 | 3 | 4 | 14 | 12:47 | -35 | 13 | 10 | 2 | 2 | 6 | 6:19 | -13 | 8 | 11 | 1 | 2 | 8 | 6:28 | -22 | 5 |
| 12 | მერცხალი | 21 | 2 | 4 | 15 | 18:43 | -25 | 10 | 11 | 1 | 3 | 7 | 7:15 | -8 | 6 | 10 | 1 | 1 | 8 | 11:28 | -17 | 4 |

საქართველოს 15 ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — პირველი ეტაპი

# 21 ტური

| | |
|---|---|
| დილა 0:0 დინამო | მერცხალი 1:2 ლოკომოტივი |
| სიონი 3:0 კოლხეთი | მცხეთა 1:5 ტორპედო |
| ბათუმი 2:1 სპარტაკი | თბილისი 1:1 ვიტ ჯორჯია |



ვიტელმა ლაშა ნოზაძემ თორნიკე აფციაური ბურთთან არ მიუშვა

# ბოლო იმედის ლუკმები

გუნდების ექვსეულებში გადანაწილების მხრივ ამ ტურში ოდენ ერთი შეხვედრა იყო, გამორჩენა რომ არ ჰქონდა, თუმც „სიონი" — „კოლხეთის" მატჩმა ჩემპიონატის ბომბარდირად დუბლის გამტანი ბორის გონჩაროვი გაალიდერა.

ავყია გორელ გულშემატკივარს „დინამოსთან" ფრემ „დილა" ზეექვსეულში ვერ დაუბევა. ისიცაა, რომ საშემოდგომო ჩემპიონი ქულების განიავებას სულაც არ ფიქრობს და სპორტულ პრინციპს არ ღალატობს — „დინამო" წარბშეუხრელია.

„ბათუმი" „სპარტაკთან" დაილლიავებული სამი ქულით სანატრელ მეექვსე ადგილზე აღზევდა, მაგრამ სწორედ „დინამოს" სტუმრობს ბოლო ტურში, თუმც უშანსოდ როდია — ექვსეულში იქნებ წაგებითაც დარჩეს.

პუნკი ალბათობაა იმისა, რომ „ლოკომოტივი" ზეექვსეულის მიღმა დარჩეს — სტუმრად „მერცხალის" დაჯაბვნით რკინიგზამ კარგი ჰანდიკაპი შეიქმნა, არადა, ოზურგეთში არხეინი მატჩი არ ყოფილა — იქაურ ქომაგებს მინდორზეც კი შეულწევიათ და თანამსაჯისკენ გაუწევიათ.

გასიმპათიურებულმა „თბილისმა" შინ ღონიერი „ვიტ ჯორჯია" ვერ წააქცია — მოსაგები თამაში არ ჰქონდა და ალალ ქულას დასჯერდა. ბოლო ტურში „თბილისმა" ვაკეში უნდა გაივაკოს „ლოკომოტივთან", თუ არა და, ექვსეულს ვერ შესწვდება.

„ტორპედომ" ვარდ-ხავერდიანი რევოლუციის მსხვერპლი „მცხეთა" ქვასანაყში მოაქცია და ისეთი სუნელი მიილო, ექვსეულის მადაზე რომ მოიყვანს.

## ჩვენს ტკბილ მოგონებებს გაუმარჯოს... 2003 წელი იყო...
# ჟოაო მას, მეც მათამაშეთ, რა...

ქუთაისის ,,ტორპედოს'' ბრაზილიელი მწვრთნელი ჟოაო კამპუში ლამის ყოველ ტურში ახალ სახელებს აცნობს საფეხბურთო საქართველოს. ასე გამოჩნდა 16 წლის ნიკა ნადირაძე, რომელსაც კამპუში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

ორიოდ ტურის წინ ,,ტორპედოში'' 19 წლის გიორგი ბურჯანაძის დებიუტიც შედგა. გუშინწინდელ მცხეთურ მატჩში კი, ცხადია, სხვისი ჯერი იყო და ასეთი გიორგი დარსაძე გამოდგა. მართალია, მას რიონისპირულ კლუბში პირველად არ უთამაშია და საერთოდაც, უკრაინელ ალექსანდრ შტელინის აღმოჩენად ითვლება, მაგრამ ფრთები ახლა გაშალა. ,,მცხეთასთან'' მატჩის 29-ე წუთზე ტრავმირებული პოროშინის ნაცვლად მოედანზე შესულმა 17 წლის დარსაძემ ორი გოლი და ერთიც საგოლე პასი მიითვალა. ჩია და სწრაფი დარსაძე ყველაზე ბასრი იარაღი გამოდგა ,,ტორპედოსთვის'' ,,მცხეთასთან'' თამაშისას.



გიორგი დარსაძე

ასეთი ამბავი იყო ბოლნისში: „კოლხეთთან" მატჩისას „სიონის" პატრონმა ზურაბ ჯაფარიძემ ლოჟიდან მოედანზე ბორის გონჩაროვს გასძახა, ერთი გოლიც და ათასი ლარი შენზე იყოსო... იქამდე ბოლნისელთა და საერთოდ ჩემპიონატის მთავარმა მეგოლემ „კოლხეთისთვის" ორი უკვე გაიტანა და ჯაფარიძისგან ხუთასი ლარის პირობაც მიიღო. გონჩაროვს საჭიროდ ჩარიცხვისთვის დრო აღარ დარჩა, თუმც ხუთასიანი საქმე კი გამოუვიდა...



## მეთხუთმეტე ეროვნულის ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 15 - გონჩაროვი | სიონი |
| 14 - გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| 12 - დავითაშვილი | თბილისი |
| 10 - კაკალაძე | ბათუმი |
| ახალაია | დინამო |
| 9 - ა. კაიდარაშვილი | დილა |
| მიქუჩაძე | თბილისი |
| 7 - ბ. გორჯაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| გაგუდავა | მერცხალი |
| სირაძე | ლოკომოტივი |

# გონჩაროვი გოლებს ლარებზე ცვლის

— ჯაფარიძე ყოველი მატჩისას ასე გახალისებს?

— არა, ეს პირველად სწორედ „კოლხეთთან" იყო.

— მერედა, ტრიბუნიდან შეპირებული პრემია მიიღე?

— რა თქმა უნდა, ზურაბ ჯაფარიძე რასაც გეტყვის, იმას აკეთებს კიდეც.

— „კოლხეთთან" მატჩს თქვენთვის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, გამგებელი რომ გოლებზე პრემიას დაგპირდა?

— განსაკუთრებული არაფერი, ჩემპიონატის ბომბარდირი ვარ და მან საამისოდ მეტი სტიმული მომცა.

— და შეძლებ ამ საქმის ბოლომდე მიყვანას, ჩემპიონატის ბოლომდე ბომბარდირად დარჩები?

— ვერ გიპასუხებთ, არ ვიცი.

— წლეულს კარიერაში საუკეთესო სეზონი გაქვს?

— დიახ, ეს სეზონი ჩემთვის მართლაც საუკეთესოა.

— ფიქრობ, რომ აქამდე ჩრდილში იყავი?

— ვფიქრობ, რომ აქამდე თავის გამოჩენის შანსი არ მქონდა. „ლოკომოტივში" რევაზ ძოძუაშვილი ნახევარდაცვაში მათამაშებდა, არადა ჩემი ადგილი თავდასხმაშია. მერე ძოძუაშვილმა „ტორპედოში" წამიყვანა და მთლად ტყუილად ვიყავი, ფაქტობრივად, წელიწადნახევარი სკამზე გავატარე, თანაც დავშავდი. დიდი მადლობა სოსო ფილიას, რომელმაც მამუკა ჯუღელის რეკომენდაცია გაითვალისწინა და „კოლხეთში" მიმიყვანა. ფოთში უკვე ავთამაშდი, გოლებიც გავიტანე და აგერ, აქამდე მოვედი.

— ყოფილი გუნდები ჩამოთვალე და ბარემ ესეც გვითხარი, თამაში სად დაიწყე?

— ეზოში, მეექვსე სკოლის ეზოში, ზურაბ პეტრიაშვილი გვაქცევდა ბიჭებს ყურადღებას. მერე 35-ე სკოლა იყო, „თბილისი", „არსენალი", თსუ. „თბილისში" თამაშისას თასზე „ლოკომოტივი" გვყავდა მეტოქედ, ჰოდა, სწორედ მაშინ შემნიშნა ძოძუაშვილმა და „ლოკომოტივში" მიმიწვია.

— ძოძუაშვილმა ხომ ლატვიაშიც წაგიყვანა...

— კი, მაგრამ ლატვიის „სკონტოს" მაშინ თურმე თავდამსხმელი არ სჭირდებოდა. რიგაში თვენახევარი ვიყავი, ვივარჯიშე და უკან დავბრუნდი.

— უცხოეთში თამაშის გაგრძელებაზე ახლა არ ფიქრობ?

— „სიონთან" სეზონის ბოლომდე მაქვს კონტრაქტი, თუმც თუ იქამდე უცხოეთიდან რეალურ წინადადებას მივიღებ, წავალ, რატომაც არა.

— რით გამოირჩევა ბორის გონჩაროვი მოედანზე?

— ბრძოლისუნარიანობით და უბრალო თამაშით. ვცდილობ, რაც გასაკეთებელია, ის ვაკეთო და არაფერი გამოვიგონო. ადრე კი პირიქით ვაკეთებდი, თუმც „თბილისში" ზურაბ მაისურაძემ და ძოძუაშვილმა გადამაჩვიეს ასე თამაშს. მათი რჩევა ახლა მიფასდება.

— რა ნაკლი გაქვს?

— მარცხენა ფეხით ისე ვერ ვთამაშობ, როგორც საჭიროა.

— თავით?

— არ ვუჩივი.

— მწვრთნელებისთვის, რომლებსაც იცნობ, რაიმე განსაკუთრებული ნიჭი შეგიმჩნევია? რომელ მწვრთნელს გამოარჩევ?

— ძოძუაშვილს ისეთი ალღო აქვს, გაკვირვებული ვარ. არ მახსოვს, შეცვლაზე ვეთამაშებინე და ან გოლი არ გამეტენოს, ან საგოლე პასი არ გამეკეთებინოს. თანაც მოედანზე შესვლამდე მეტყოდა, ამას შეძლებო. მეც მისი ნათქვამი ყველაფერი გამომდიოდა.

— ძოძუაშვილს ბევრი ქართველი ფეხბურთელი ჰყავს უცხოურ გუნდებში მოწყობილი, შენ რატომ დაგტოვა საქართველოში?

— არ ვიცი. ამას ძოძუაშვილი უფრო გეტყვის.

— წლეულს საქართველოს ჩემპიონი ვინ გახდება?

— ალბათ, ისევ „დინამო". თუ „სიონი" არ დაიშალა, ჩემპიონობისთვის ბრძოლას ჩვენც შევძლებთ.

— დაიშალაო, რატომ თქვი?

— ზურაბ ჯაფარიძე ხომ ბოლნისის გამგებელია და თანამდებობიდან თუ გაათავისუფლეს, „სიონის" საქმეც ცუდად იქნება. ჯაფარიძის დამსახურებაა, დღეს რომ „სიონი" ასეთი ძლიერი გუნდია.

— შენთვის ყველაზე სამახსოვრო გოლი რომელია?

— „კოლხეთში" თამაშისას „ვიტ ჯორჯიას" ბოლო ოთხ წუთში ორჯერ გავუტანე და ანგარიში გავათანაბრე. მეორე გოლი მაკრატელათი შევაგდე, ძალიან ლამაზი გამოვიდა.

— რომელი მცველის წინააღმდეგ გიჭირს თამაში?

— დინამოელი ამისულაშვილია ჩემთვის უხერხული მეტოქე, მეტი ჯანი აქვს.

— საერთოდ, რომელ გუნდს და ფეხბურთელს ქომაგობ?

— „რეალს" და მისი ვარსკვლავებიც იდეალურ ფეხბურთელებად მიმაჩნია — რაული, რონალდო...

**ძობა ინასარიძე**



# ქეცბაია სწავლას იწყებს
## კვიპროსზე ქართველის ვალიც მართებთ

**35 წლის** თემურ ქეცბაია კვიპროსულ „ანართოსისში" კვლავაც წარმატებით თამაშობს — მიმდინარე სეზონის 11 მატჩში 5 გოლი გაიტანა, თუმც მეხუთე ადგილზე მოკალათებულ „ანართოსისის" საქმეები დაღმა მიდის — ბერძნული წყაროების ცნობით კლუბი ვალებშია ჩაფლული და ფეხბურთელებს რამდენიმე თვის პრემია-ხელფასები არ აუღიათ.

თუმც ქეცბაიასა და მის თანაგუნდელებს გარჯა არც ერთ შემთხვევაში არ დაეკარგებათ — მიუხედავად იმისა, „ანართოსისი" საბოლოოდ გაკოტრდება თუ ახალი პატრონი გამოუჩნდება, ადრე თუ გვიან ფეხბურთელებს დავალიანებას მაინც გაუსტუმრებენ — უეფას დამცავი მექანიზმები ხომ ასეთ შემთხვევაშიც ითვალისწინებენ.



ერთ-ერთი ბერძნული გაზეთი იუწყება, ქეცბაია სეზონს ჩაამთავრებს და ფეხბურთელის კარიერასაც დაემშვიდობებაო. იმავ წყაროს ცნობით, თემური სწავლის დაწყებას აპირებს — ქეცბაიას მწვრთნელობა სურს და შესაბამისი ლიცენზიის აღებაც მართებს.

# ალბათ...
## რომელ სიაში ჩაწერს რუბინი სილაგაძეს და ჩალაძეს?

**ყაზანის „რუბინი"** უკვე საახალსეზონო გეგმებს აწყობს. ლევან სილაგაძისა და დავით ჩალაძის გუნდი ახალი ჩემპიონატისთვის მზადებას კვიპროსზე დაიწყებს. ყაზანელები კუნძულზე 14 დეკემბერს გაემგზავრებიან, თუმც ჯერჯერობით ქართველების ბედი ისევ გაურკვეველია. „რუბინის" ხელმძღვანელობას ჯერაც არ გამოუქვეყნებია იმ ფეხბურთელების სია, რომელთაც ტრანსფერზე დაყენებს. სილაგაძე და ჩალაძე თავიდან თითქოს ამ სიაში ივარაუდებოდნენ, თუმც სეზონის დასრულებისთანავე, „რუბინის" მწვრთნელებმა ოფიციალურად გამოთქვეს ჩვენებურებთან კონტრაქტის გაგრძელების სურვილი.

ერთი სიტყვით, ეს ამბავი შეკრებაზე წასვლამდე მაინც არ გადაწყდება. მანამდე კი ქართველი ფეხბურთელები კლუბის ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოების ცერემონიალში მიიღებენ მონაწილეობას. ცერემონიალი გასართობ კლუბ „პირამიდაში" 11 დეკემბერს გაიმართება.

„რუბინს" კვიპროსულის გარდა თურქული და ესპანური შეკრებებიც აქვს დაგეგმილი. კუნძულზე ორკვირიანი ვარჯიშის შემდეგ ყაზანელები რამდენიმე დღე საახალწლოდ დაისვენებენ და 4 იანვარს თურქეთში გაემგზავრებიან, სადაც ასევე ორ კვირას დაჰყოფენ. ბოლოს კი ესპანეთია — „რუბინი" პირინეის ნახევარკუნძულზე 24 იანვრიდან 7 თებერვლამდე მოემზადება. ესპანეთში ყურბან ბერდიევის შეგირდები საერთაშორისო ტურნირ LA MANGA CUP-შიც მიიღებენ მონაწილეობას.

ასე რომ, „რუბინს" საახალსეზონოდაც სერიოზული მიზნები დაუსახავს და სავარაუდოდ, ამ გეგმებში ლევან სილაგაძისა და დავით ჩალაძის საჭიროობაც იკვეთება. სილაგაძის თქმით, ის დარწმუნებულია, რომ კლუბი ორივე ქართველს გაუგრძელებს კონტრაქტს. მანამდე კი ჩვენებურები თბილისში ისვენებენ და ახალი სეზონისთვის ძალებს იკრებენ.

**ძახა შალამბერიძე**

# წავლენ, წაუსამგზავრენ და...



**ქუთაისის „ტორპედოს"** ბრაზილიელები — ერიკსონ მარტინიო და რობსონ ლოპესი სამშობლოში დაბრუნდნენ. ჟოაო კამპუშის ჩამოყვანილი ფეხბურთელები აქამდე „ტორპედოსთან" ერთად ვარჯიშობდნენ, თუმც, დებულების თანახმად კლუბს ახალი ფეხბურთელების დამატება პირველი ეტაპის დასრულებამდე არ შეეძლო და მარტინიო-ლოპესის დუეტსაც თამაში, ცხადია, არ ელირსა.

ახლა კი ბრაზილიელები „ტორპედოს" დაემშვიდობნენ, თუმც არა სამუდამოდ. მარტინიო და ლოპესი ბრაზილიაში ივარჯიშებენ, შობა-ახალ წელსაც იქ შეხვდებიან და ქუთაისში იანვარშივე დაბრუნდებიან. იმ დროისთვის, სავარაუდოდ, მათი გუნდში აყვანაც საბოლოოდ უნდა იყოს გადაწყვეტილი, თუმც საამისოდ „ტორპედოს" ნახევარი საქმის გაკეთება ამ დღეებშივე შეუძლია — რიონისპირელებმა გორის „დილა" უნდა დაამარცხონ და ექვსეულში შევიდნენ. დანარჩენი უკვე კლუბის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია.

**ძახა შალამბერიძე**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. წილისყრა

*მას მერე, რაც ბრაზილიისა და გერმანიის დიდი ფინალი ისტორიის საკუთრებად იქცა, მსოფლიო ფეხბურთისთვის დღევანდელი დღე ყველაზე მნიშვნელოვანია — დღეს თბილისის დროით 20 საათზე, გერმანულ ფრანკფურტში, „ფესტჰალეს“ 3500 კაციან დარბაზში 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა დაიწყება.*

## მსოფლიოს გადანაწილების გერმანული წესი

„ფესტჰალეს“ დარბაზში იქნებიან შესარჩევ ეტაპზე მონაწილე 156 ქვეყნის წარმომადგენლები, თუმცა შეჯიბრებაში მონაწილეთა რაოდენობა 197-ია. ეს აბსოლუტური რეკორდია. წინა რეკორდი კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს ეკუთვნოდა — 196 ქვეყანა. და თუ რატომ არ დაესწრება წილისყრას 41 ქვეყნის წარმომადგენელი, ძალიან მარტივი ასახსნელია — მათ შესარჩევი ეტაპი უკვე დაიწყეს და ზოგმა დაამთავრა კიდეც. მოგეხსენებათ, ათ სამხრეთამერიკულ ქვეყანას წილისყრა საერთოდ არ სჭირდება, 21 აფრიკული და 7 აზიური ქვეყანა კი უკვე გამოეთიშა ბრძოლას ამ კონტინენტებზე ჩატარებული პრე-საკვალიფიკაციო ეტაპების ჩატარების მერე. სამ ქვეყანასაც, ეტყობა, საპატიო მიზეზი აქვს დაუსწრებლობისა.

პირველად საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს ფიფას არაწევრი ქვეყანა. ეს ახალი კალედონიაა, რომელიც ფიფას ოდენ ასოცირებული წევრია და ოკეანეთის ზონაში ითამაშებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო ფეხბურთის მარაქაში გაერია ავღანეთიც, თუმცა მან ბრძოლა უკვე დაამთავრა — პრე-საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი მატჩის ჯამში 0:13 წააგო თურქმენეთთან.

მთავარი კი, რაღა თქმა უნდა, ევროპული ზონის წილისყრაა, სადაც საქართველოს ბარათსაც ამოიღებენ მეხუთე კალათაში ჩაყრილი ბურთულიდან.

ქვემოთ სწორედ ევროპის ზონის პრე-საწილიყრო ამბები გავარჩიოთ.

— 52 ევროპული ქვეყნიდან წილისყრაში 51 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი გერმანია ფინალურ ეტაპზე პირდაპირ დაშვებული ერთადერთი ქვეყანაა. მოგეხსენებათ, ფიფას ახალი წესით მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი ამ პრივილეგიით აღარ სარგებლობს.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის გარდა 13 ევროპული ქვეყანა ითამაშებს.

— ქვეყნები რვა ჯგუფში განაწილდებიან, რომელთაგან ხუთი ჯგუფი 6-გუნდიანი იქნება, სამი ჯგუფი კი — 7-გუნდიანი.

— სისტემა ძველებურია: ჯგუფში გუნდები ორ-ორჯერ, შინ და სტუმრად შეხვდებიან ერთმანეთს.

— ჯგუფების რვა გამარჯვებული და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ.

— დანარჩენი 6 მეორეადგილოსანი პლეი ოფში (შინ სტუმრად პრინციპით) შეეცილება ერთმანეთს მუნდიალის კიდევ სამ საგზურს.

— წილისყრამდე ქვეყნები შვიდ კალათაში არიან განთესილები. A, B, C, D, E და F კალათებში რვა-რვა გუნდია, G კალათაში კი სამი. განთესვა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის და 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპების შედეგების მიხედვით მოხდა.

— წინასწარ დათქმულია, რომ ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი 6-გუნდიან ჯგუფებში ითამაშებენ, რადგან იქაურ კლუბებს ყველაზე მეტი საშინაო და საევროთასო მატჩებში უწევთ თამაში. ეს ქვეყნები არ მოხვდებიან პირველ, მეორე და მესამე ჯგუფებში, რობლებიც 7-გუნდიანებია.

— საუკეთესო მეორეადგილოსანთა გამოვლენისას არ გაითვალისწინებენ მეშვიდე ადგილზე გასულ გუნდებთან მათი თამაშების შედეგებს.

### ევროგანთესილები

**I კალათა**

საფრანგეთი, პორტუგალია, შვედეთი, ჩეხეთი, ესპანეთი, იტალია, ინგლისი, თურქეთი

**II კალათა**

ჰოლანდია, ხორვატია, ბელგია, დანია, რუსეთი, ირლანდია, სლოვენია, პოლონეთი

**III კალათა**

ბულგარეთი, რუმინეთი, შოტლანდია, სერბეთი, შვეიცარია, საბერძნეთი, სლოვაკეთი, ავსტრია

**IV კალათა**

უკრაინა, ისლანდია, ფინეთი, ნორვეგია, ისრაელი, ბოსნია, ლატვია, უელსი

**V კალათა**

უნგრეთი, საქართველო, ბელარუსი, კვიპროსი, ესტონეთი, ჩრდ. ირლანდია, ლიტვა, მაკედონია

**VI კალათა**

ალბანეთი, სომხეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, ფარერები, მალტა, სან მარინო, ლიხტენშტაინი

**VII კალათა**

ანდორა, ლუქსემბურგი, ყაზახეთი



იოზეფ ბლატერი და ფრანც ბეკენბაუერი

## კაიზერის კოზირები

*აქედან შინ დაბრუნებულმა სტუმრებმა უნდა თქვან, ნახეთ, გერმანელებმა წილისყრა რა ჩინებულად ჩაატარესო — ამბობს ფრანც ბეკენბაუერი, მსოფლიოს 2006 წლის პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე*

საამპირველობოდ შესარჩევი ეტაპის წილისყრა დღეს ფრანკფურტში გაიმართება და სტუმრები იქ მართლაც მრავლად იქნებიან. ცერემონიალს, რომელშიც მონაწილეობას ლეგენდარულ მეფორმულერთე მიხაელ შუმახერი და გერმანელი პოპმომღერალი ჰერბერტ გრიონემაიერიც მიიღებენ, 122 ფუნქციონერი, 700-ზე მეტი ჟურნალისტი და ჯამში 3500-მდე კაცი დაესწრება.

ამ ხალხისთვის კაიზერ ფრანცს ძირითადად საიმედო ინფორმაცია აქვს შემარაგებული. „ჩვენ უკვე მზად ვართ — ამბობს ის — ისე არ გამიგოთ, თითქოს ტურნირის დაწყება ხვალვე შეგვეძლოს, მაგრამ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და თავის დროზე მომთავრდება.“

უკვე ცნობილია, რომ ტურნირის პირველ შეხვედრას 2006 წლის 9 ივნისს მიუნხენის ახალი სტადიონი უმასპინძლებს. 5 ივლისს იქვე შედგება ნახევარფინალთაგან ერთ-ერთი, მეორე საფინალო საგზურისთვის კი დღით ადრე დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე“ იპაექრებენ.


კენჭისყრაზე მიხაელ შუმახერიც დაპატიჟეს

8 ივლისს სათამაშო მატჩი მესამე ადგილისთვის შტუტგარტის „გოტლიბ-დაიმლერ-შტადიონს“ დაეთმო, 9 ივლისს ფინალის გამართვის პატივი კი დედაქალაქობის კვალობაზე ბერლინს ერგო. ეს ოთხივე ქალაქი ჯამში ექვს-ექვს შეხვედრას უმასპინძლებს, სულ კი მატჩები თორმეტ სხვადასხვა ქალაქში გაიმართება. და კიდევ — ჯგუფურ ეტაპზე ყველა ნაკრები სამივე მატჩს სხვადასხვა სტადიონზე ითამაშებს.

„მჯერა, ისეთი გადაწყვეტილება მივიღეთ, ყველას რომ დააკმაყოფილებს — თქვა ბეკენბაუერმა — თამაშები ისე გადანაწილდა, რომ მსოფლიოს პირველობის მასპინძლობას ყველა რეგიონი შეძლებს.“

ლეგენდარული ფეხბურთელი ახლა მართლაც რიგიან გუნებაზეა, მაგრამ სულ რამდენიმე თვის წინ ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადადგომითაც კი იმუქრებოდა.

ეგებ თქვენც გახსოვდეთ, კაიზერ ფრანცი მაშინ ფიფას სიხარბეში სდებდა ბრალს და აცხადებდა, რომ ფეხბურთის მსოფლიო მამებს ბილეთების სარფიანად გასაღების მეტი არაფერი ედარდებოდათ. სიტუაცია მხოლოდ მას შემდეგ განიმუხტა, რაც რომ ფიფელი ჩინოვნიკები დაჰყაბულდნენ, ბილეთების რაღაც რაოდენობა უფრო შეღავათიან ფასებად გაიყიდოსო.

„ფიფასთან ახლა მართლაც საუცხოო ურთიერთობა გვაქვს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს პრობლემები საერთოდ აღარ არსებობდეს“ — ამბობს ბეკენბაუერი.

პრობლემები კი ნამდვილად არსებობს. ასე მაგალითად — საორგანიზაციო კომიტეტს სპონსორებად მხოლოდ იმ ფირმების შერჩევა შეუძლია, რომელთაც ფიფასგან მიერ ბოძებული ექსკლუზიური უფლებები გააჩნიათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი საკუთრივ გერმანული ფირმის, ვთქვათ, ბობოლა „დაიმლერ-კრაისლერის“ ნაცვლად, კაიზერი და მისი გუნდი იძულებულია, საფუძლედ სამხრეთკორეულ „ჰიუნდაის“ მიმართოს.

ამის გამო, მსოფლიოს პირველობის მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკა იმდენად ვერ ხეირობს, როგორც ამას გერმანელები იმედოვნებდნენ.

„სირცხვილია, გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობდეს და ამ საქმიდან სრული სარგებელი ვერ ნახოს“ — არ მალავს თავის უკმაყოფილებას ჰერ ბეკენბაუერი.

სხვაფრივ — ის გვპირდება, რომ საორგანიზაციო კომიტეტი ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რათა ფინალურ ეტაპზე ჩასული სპორტსმენებისა თუ მათი მხარდამჭერების უსაფრთხოება მაქსიმალურად იყოს დაცული.

„ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არანაირი პრობლემა არ იქნება, მაგრამ გარანტიას გაძლევთ, რომ ყველანაირად მოვემზადებით“ — ამბობს ის.

„ქომაგებს მოვუწოდებ, რომ აქ მხოლოდ დროის გასატარებლად და საზეიმოდ ჩამოვიდნენ.“


დღეს კენჭისყრა ამ დარბაზში მოეწყობა

**ლევან ძელაურაძე**

## ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი. XIV ტური**

### სოსიედადი 0:0 ვალენსია

სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, გაბილონდო, კარპინი, ალკისა (არანბურუ 72), კოვაჩევიჩი, დე პაულა (ნიჰათი 63)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, აიალა, პელეგრინო, კარბონი, მარჩენა, ბარახა, რუფეტე (ალბელდა 75), აიმარი, ვისენტე (ხისკო 70), ოლივეირა (ანგულო 65)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: დე პაულა, პელეგრინო, ვისენტე, აიმარი
მსაჯი: პუენტეს ლეირა
22 000 მაყურებელი

### რეალი 2:0 ატლეტიკო

1:0 რონალდო (1), 2:0 რაული (20)
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი (სოლარი 90), ფიგუ, ბექემი, ი. ელგერა, ზიდანი, რაული (გუტი 83), რონალდო (პორტილიო 88)
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
ატლეტიკო: ბურგოსი, სერხი, ლეკო, გასპარი, დე ლოს სანტოსი, მუსამპა (როდრიგო 60), სიმეონე, იბაგასა, ნოვო, ფ. ტორესი, ნიკოლაიდისი (პაუნოვიჩი 60)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: სიმეონე, სალგადო, დე ლოს სანტოსი, სერხი, მუსამპა, ფიგუ, ლეკო
მსაჯი: პინო სამორანო
78 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 1:1 დეპორტივო

0:1 ჯონათანი (50პ), 1:1 ოსკარი (65)
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, ჯონათანი, ტორეს გომესი, ჟულიო სეზარი, ხესუსი (რიკეტი 52), ოსკარი, საპატა (ჩემა 45), ფ. სალესი, მაკუკულა, სოუზა (კამინერო 73)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
დეპორტივო: მოლინა, სესარი, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, ექტორი, სერხიო, ფრანი (ვიქტორი 81), სკალონი, ვალერონი (მუნიტისი 70), დუშერი, ტრისტანი (ლუკე 73)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ოსკარი, ბიზარი
მსაჯი: პერეს ბურული
9 900 მაყურებელი

### მალაგა 5:1 ბარსელონა

1:0, 2:0, 3:0 სალვა (8, 14, 69), 4:0 დიეგო ალონსო (73), 4:1 სანსი (81ს.კ.), 5:1 კანაბალი (89)
მალაგა: კალატაიუდი, ხოსემი (ხერარდო 70), ლიტოსი, ვალკარსე, ფ. სანსი, ინსუა, რომერო, დუდა (კანაბალი 76), მიგელ ანხელი, ედგარი, სალვა (დიეგო ალონსო 73)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ბარსელონა: ვალდესი, გაბრი, კოკუ, მარკი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, მოტა (ხერარდი 46), კვარესმა (ოვერმარსი 67), ლუის გარსია (ლუის ენრიკე 46), კლუივერტი, სავიოლა
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: სანსი, გაბრი, მოტა
მსაჯი: პერეს ლასა
21 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 0:1 ოსასუნა

0:1 ვებო (86)
ესპანიოლი: ტონი ხიმენესი, დავიდ გარსია, ლოპო, დომორო, ბერტრანი (ველამასანი 29), დე ლა პენია, მაქსი, ფრედსონი (მორალესი 46), ტაიფუნი, კრუიფი (ბობსონი 78), ტამუდო
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
ოსასუნა: სანსოლი, ისკიერდო, ანტონიო ლოპესი, კრუჩაგა, ხოსეჩო, პუნიალი, მოა, პაბლო გარსია, ვალდო (მუნიოსი 78), ალოიზი (გორკა გარსია 46), ბაკაიოკო (ვებო 58)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: მოა, ანტონიო ლოპესი, ანტონიო ლოპესი, ტაიფუნი, ხოსეჩო, გორკა გარსია
გაძევება: ანტონიო ლოპესი (45), ლოპო (89)
მსაჯი: რამირეს დომინგესი
11 100 მაყურებელი

### სელტა 2:2 ალბასეტე

1:0 ანხელი (20), 1:1 პაჩეკო (45), 1:2 არანდა (52), 2:2 კონტრერასი (59)
სელტა: კავალიერო, სილვინიო, კასერესი, ანხელი, ხუანფრანი, პაბლო კონტრერასი, გუსტავო ლოპესი (ხანდრო 77), ხოსე იგნასიო (მოსტოვოი 83), ლუქსენი, ხესული, კატანია (ნაჩო ფრანკო 83)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ალბასეტე: როა, ოსკარი, უნაი, პენია, პაბლო, ვიაუდი, პარი, ივან დიასი (ალვარო 65), დავიდ სანჩესი (კრისტიან დიასი 77), არანდა, პაჩეკო (ბასტი 85)
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
გაფრთხილება: კატანია, პარი, გუსტავო ლოპესი, ივან დიასი, ხოსე იგნასიო, ვიაუდი
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
17 000 მაყურებელი

### ბეტისი 1:1 მურსია

1:0 ისმაელი (47), 1:1 ლუის გარსია (90პ)
ბეტისი: პედრო კონტრერასი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო (ისმაელი 46), რივასი, ლემბო, არზუ, ფერნანდო (ვარელა 52), კაპი, იტო, ხოაკინი, დანი (ტოტე 75)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
მურსია: ხუანმი, ლოეშბორი (პედრო ლარგო 65), როტეტა, კლავერო, ხუანმა, კუადრადო, ფრედი (ხულიო ალვარესი 62), მიჩელი, ესნაიდერი (იენსენი 45), ლუის გარსია, რიჩი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: კაპი, ლუის ფერნანდესი, კუადრადო, ლუის ფერნანდესი, კლავერო, არზუ, ხოაკინი, რივასი
გაძევება: როტეტა (3), ლუის ფერნანდესი (47)
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
25 000 მაყურებელი

### ვილიარეალი 0:2 მალიორკა

0:1 ეტოო (55), 0:2 კამპანო (59)
ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა (ბელეტი 16), კოლოჩინი (არზო 60), მარტი (ვიქტორი 57), კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, ხოსიკო, როხერი, რიკელმე, ს. ანდერსონი, ხოსე მარი
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
მალიორკა: ლეო ფრანკო, ლუსენბოფი, კორტესი, ოლაიზოლა, პოლი, კამპანო, კოლსა, ნენე (ტონი გონსალესი 79), მარკოსი (რაულ მარტინი 82), ეტოო, კორეა (ბრუგინკი 57)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: არუაბარენა, პოლი, კოლსა
მსაჯი: ესკინას ტორესი
15 000 მაყურებელი

### რასინგი — სევილია
### სარაგოსა — ბილბაო

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა*

# ბარსა ბასტა!
## რონალდო იწყებს და რეალი იგებს.



რეალი — ატლეტიკო. ჩვენში რომ იტყვიან, რონალდომ სტუმრებს გამარჯობის თქმა არ აცალა

გუშინ მადრიდში დიდი დედაქალაქური დერბი გაიმართა — „რეალმა" „ატლეტიკოს" უმასპინძლა. ტურის მთავარი მატჩი სწორედ ეს იყო და რა უნდა მომხდარიყო, რომ რომელიმე სხვა თამაშს ეს დერბი დაეჩრდილა. არადა, მოხდა — „ბარსელონამ" მალაგაში 1:5 წააგო.

მეთოთხმეტე წუთისთვის „მალაგა" უკვე 2:0 იგებდა. ორივე გოლი სწრაფ კონტრშეტევას მოჰყვა და ორივე სალვა ბალესტამ გაიტანა. ოდინდელმა ვალენსიელმა მეორე ტაიმის შუაში მესამეც შეაგდო, მეკარეს მოხდენილად გადაუგდო ბურთი თავზე. ახლა კი წარმოიდგინეთ, როგორი ოვაციით გააცილებდნენ მალაგელი გულშემატკივრები ფორვარდს, რომელიც მესამე გოლიდან ხუთ წუთში შეცვალეს.

სალვა ბალესტას ნაცვლად მოედანზე დიეგო ალონსო შევიდა და ბურთთან პირველივე შეხება მეოთხე გოლად აქცია.

საბოლოოდ წამხდარ „ბარსელონას" ერთი გოლით კატალონიელთა ძველი მტერი, „რეალის" ყოფილი პრეზიდენტის შვილი და რეალისავე ძველი მოთამაშე ფერნანდო სანსი წაეშველა, ვინაც ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. თუმცა მალაგელებმა ისევ აღადგინეს 4-ბურთიანი უპირატესობა და თამაშიც ტაშის გრიალში დაამთავრეს.

„ბარსელონა" კი ცხრილში მეცხრე ადგილამდე დაეშვა, კატალონიელებმა ბოლო სამ ტურში ოდენ ერთი ქულა მიითვალეს და ამგვარ ჩავარდნას მცოდნე ხალხის დიდი ნაწილი რონალდინიოს ტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჰეთთრიქოსანი სალვა ბალესტა

ვმას უკავშირებს — ბრაზილიელი გამთამაშებლის გარეშე „ბარსა" გუნდს არ ჰგავს.

ამასობაში „რეალმა" ორი დიდი საქმე გააკეთა. ერთი რომ, დერბი მოიგო და მეორე ის, რომ ლიდერობა დაიბრუნა.

თამაში ისე დაიწყო, მასპინძელთა ქომაგები უკეთესს ვერაფერს ინატრებდნენ — როცა რონალდომ ბრწყინვალე სოლო რეიდით ანგარიში გახსნა, მატჩის დაწყებიდან სულ რაღაც 15 წამი იყო გასული. მსაჯის სასტვენისას ზინედინ ზიდანმა ბურთი რობერტო კარლოსს დაუგორა, რომელმაც გაქცეულ რონალდოს დააწია. დანარჩენი კი ბრაზილიელის სწრაფი ფეხების და ფინტების საქმე იყო. 19 წუთის მერე რაულმა დევიდ ბექემის უზადო პასით მეორეც გაიტანა და დარჩენილ ბლომად დროში „რეალს" ანგარიშის შენარჩუნება არ გასჭირვებია.

მოგეხსენებათ, ძველმა ლიდერმა „ვალენსიამ" ერთი დღით ადრე ფრედ ითამაშა და ძალიანაც გაუმართლა, რომ არ დამარცხდა. „სოსიედადს" აქამდე ზედიზედ ხუთი მატჩი ვერ მოეგო და მეექვსეში საოცრად ახლოს იყო მიზანთან. მომენტები ჩამოვთვალოთ: მესამე წუთზე ვალერი კარპინს ფრიად საეჭვო ოფსაიდის მომიზეზებით გოლი არ ჩაუთვალეს, ნიჰათმა ძელს გაარტყა, ხოლო იგორ გაბილონდოს დარტყმულები მცველებმა ორჯერ გამოიტანეს კარის ხაზიდან. თუმცა სამართლიანობისთვის ისიც უნდა ვთქვათ, რომ ერთი ბრწყინვალე მომენტი ვალენსიელებსაც ჰქონდათ — ფრანსისკო რუფეტემ ცარიელი კარისთვის აცილება მოახერხა.

ისე, ლიდერობის დაკარგვის მიუხედავად, „ვალენსიას" კიდევ გაუმართლა „დეპორტივომაც" რომ ვერ მოიგო, თორემ მესამე ადგილზე ჩავარდებოდა. გალისიელებმა ვალიადოლიდში სრულიად უსუსურად ითამაშეს და მასპინძელი ჯონათანი ავტოგოლით რომ არ წაშველებოდათ, ერთი ქულაც უკან დარჩებოდათ. „ვალიადოლიდისთვის" კი ეს ზედიზედ მეშვიდე წაუგებელი მატჩი იყო.

ბოლოს ვთქვათ, რომ მეოთხე ადგილზე დაბრუნდა „ოსასუნა". პამპლონელებმა ეს „ესპანიოლთან" პიერ ვომეს 87-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მოახერხეს.

**ქოტე ქექელია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 14 | 9 | 3 | 2 | 29:15 | 14 | 30 | 7 | 7 | 0 | 0 | 21:6 | 15 | 21 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | -1 | 9 |
| 2 | ვალენსია | 14 | 8 | 4 | 2 | 27:11 | 16 | 28 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:7 | 7 | 14 | 7 | 4 | 2 | 1 | 13:4 | 9 | 14 |
| 3 | დეპორტივო | 14 | 8 | 3 | 3 | 22:11 | 11 | 27 | 7 | 5 | 0 | 2 | 14:6 | 8 | 15 | 7 | 3 | 3 | 1 | 8:5 | 3 | 12 |
| 4 | ოსასუნა | 14 | 6 | 5 | 3 | 15:10 | 5 | 23 | 7 | 4 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 14 | 7 | 2 | 3 | 2 | 5:4 | 1 | 9 |
| 5 | ატლეტიკო | 14 | 7 | 1 | 6 | 17:18 | -1 | 22 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 16 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:14 | -7 | 6 |
| 6 | რასინგი | 13 | 6 | 2 | 5 | 18:15 | 3 | 20 | 6 | 2 | 0 | 4 | 7:9 | -2 | 6 | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 5 | 14 |
| 7 | ბილბაო | 13 | 6 | 2 | 5 | 16:14 | 2 | 20 | 7 | 5 | 0 | 2 | 11:4 | 7 | 15 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | -5 | 5 |
| 8 | მალაგა | 14 | 6 | 2 | 6 | 18:17 | 1 | 20 | 7 | 4 | 2 | 1 | 12:6 | 6 | 14 | 7 | 2 | 0 | 5 | 6:11 | -5 | 6 |
| 9 | ბარსელონა | 14 | 5 | 5 | 4 | 18:18 | 0 | 20 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:12 | -1 | 11 |
| 10 | ვილიარეალი | 14 | 5 | 5 | 4 | 14:15 | -1 | 20 | 7 | 2 | 4 | 1 | 9:9 | 0 | 10 | 7 | 3 | 1 | 3 | 5:6 | -1 | 10 |
| 11 | ვალიადოლიდი | 14 | 5 | 5 | 4 | 19:21 | -2 | 20 | 7 | 5 | 1 | 1 | 12:7 | 5 | 16 | 7 | 0 | 4 | 3 | 7:14 | -7 | 4 |
| 12 | მალიორკა | 14 | 6 | 2 | 6 | 18:22 | -4 | 20 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:12 | -1 | 11 | 7 | 3 | 0 | 4 | 7:10 | -3 | 9 |
| 13 | სევილია | 13 | 3 | 6 | 4 | 16:16 | 0 | 15 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:7 | 3 | 11 | 6 | 0 | 4 | 2 | 6:9 | -3 | 4 |
| 14 | სელტა | 14 | 3 | 6 | 5 | 17:19 | -2 | 15 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | -6 | 5 | 7 | 2 | 4 | 1 | 11:7 | 4 | 10 |
| 15 | ბეტისი | 14 | 3 | 6 | 5 | 16:18 | -2 | 15 | 7 | 1 | 5 | 1 | 8:8 | 0 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | -2 | 7 |
| 16 | სარაგოსა | 13 | 4 | 3 | 6 | 13:15 | -2 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:3 | 2 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 7 |
| 17 | სოსიედადი | 14 | 3 | 6 | 5 | 15:19 | -4 | 15 | 7 | 2 | 4 | 1 | 9:6 | 3 | 10 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | -7 | 5 |
| 18 | ალბასეტე | 14 | 4 | 1 | 9 | 15:21 | -6 | 13 | 7 | 4 | 0 | 3 | 10:7 | 3 | 12 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:14 | -9 | 1 |
| 19 | მურსია | 14 | 1 | 7 | 6 | 13:25 | -12 | 10 | 7 | 1 | 5 | 1 | 9:10 | -1 | 8 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:15 | -11 | 2 |
| 20 | ესპანიოლი | 14 | 2 | 2 | 10 | 10:26 | -16 | 8 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:12 | -8 | 4 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:14 | -8 | 4 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რონალდო (რეალი) | 11 |
| მისტა (ვალენსია) | 8 |
| სალვა (მალაგა) | 8 |
| ეტოო (მალიორკა) | 7 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 7 |
| პანდიანი (დეპორტივო) | 7 |

**XV ტური**

**7 დეკემბერი**

ალბასეტე — რასინგი
ატლეტიკო — ესპანიოლი
ბარსელონა — რეალი
დეპორტივო — მალაგა
სოსიედადი — ბეტისი
სევილია — სარაგოსა
ვალენსია — ბილბაო
მალიორკა — ვალიადოლიდი
ოსასუნა — სელტა
მურსია — ვილიარეალი



# თავი სულელი მეგონა რაიკარდს უარესი ედარდება

*„ბარსელონას“ მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა აღიარა, რომ ოთხშაბათს, მალაგაში ნაგებულმა 1:5-მა მის ფეხბურთელთა სრული დემორალიზაცია გამოიწვია, მაგრამ ისიც დასძინა, რომ სხვა გზა არ აქვთ, თავი ხელში უნდა აიყვანონ და შაბათს მადრიდის „რეალს“ მთელი ძალით შეუტიონ.*

„ძალიან მკაცრად დავისაჯეთ — თქვა რაიკარდმა — მოედანზე ხეირიანად ერთი ნაბიჯიც ვერ გადავდგით, თავი ნამდვილ სულელებად წარმოვაჩინეთ. ვუყურებდი ყოველივე ამას სკამიდან და თავს ძალაგამოცლილად ვგრძნობდი. ყოველგვარი ღონის გარეშე, პირველივე წუთიდან შეცდომებით დავიწყეთ და ასევე ჩავედით ბოლომდე, მონდომებისა და სურვილის გარეშე“.

თამაშის აღწერას ახლა აღარ შევუდგებით, იმას კი მოგახსენებთ, რომ „ბარსელონამ“ ბოლო სამ თამაშში მხოლოდ ერთი ქულა აიღო, რაც შემთხვევით თუ ლოგიკურად, ბრაზილიელი რონალდინიოს ტრავმას დაემთხვა.

ზემოთ ვახსენეთ_ უფრო სწორად რაიკარდმა ახსენა, რომ შაბათს „ელ კლასიკოდ“ წოდებული მატჩია, „ბარსელონა“ მშობლიურ „კამპ ნოუზე“ „რეალს“ მასპინძლობს. მიმომხილველები ეჭვობენ, რომ მადრიდელებთან დაპირისპირების წინ ბოლო ცხრა წელიწადში უარესი წაგება „კატალონიის სიამაყეს“ კარგ სამსახურს არ გაუწევს. თუმცა შესაძლოა პირიქით, მასტიმულირებლად იმოქმედოს.

და ბარსელონელთაგან განსხვავებით, „რეალმა“ ოთხშაბათს მადრიდული დერბი მოიგო, „ატლეტიკოს“ 2:0 აჯობა, თან ისე, რომ რონალდომ სასტვენიდან 15 წამშივე გახსნა ანგარიში. მეორე გოლი რაულმა მე-20 წუთზე გაიტანა.

„ბარსელონის თამაშის წინ ეს დიდი წახალისება იყო — თქვა „რეალის“ ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა — თუ „ნოუ კამპზე“ მთელი ძალით თამაშს შევძლებთ, შესაძლოა, გავიმარჯვოთ კიდეც“

„ბარსას“ მწვრთნელმა კი ასე დაასრულა: „რაოდენ ძნელიც უნდა იყოს, ასეთი მძიმე მარცხის შემდეგ დაუყოვნებლივ გონს მოგება გვმართებს, ჩვენ ეს უნდა შევძლოთ. უარესი აღარ არსებობს“.

არ არსებობსო? ესპანელი ჟურნალისტების აზრი სხვანაირია! ისინი ფიქრობენ, რომ თუ „ბარსა“ „რეალთან“ „კამპ ნოუზე“ წააგებს, რაც 20 წელიწადია ესპანეთის ჩემპიონატში არ მომხდარა, ეს გაცილებით უარესი იქნება.

**ბაპუნა ძედია**

*არგენტინელი დიეგო პაბლო სიმეონე სახელგანთქმული მადრიდული დერბის (რეალი — ატლეტიკო) საბოლოო შედეგის გამო მეტისმეტად სასოწარკვეთილად არ გამოიყურება. „კი, 0:2 წავაგეთ, მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, ვისთან დავმარცხდით. დღეს „რეალი“ ფანტასტიკური გუნდია, უფრო მეტიც, მე ვიტყოდი, მსოფლიოში საუკეთესო“ — განუცხადა ოკეანისგაღმელმა მადრიდულ „ასს“*

# ნათელმხილველი სიმეონე

ამ ფიცხმა სენიორმა დიდი შერკინების წინ სხვადასხვა ესპანური სპორტული გაზეთების საშუალებით „ატლეტიკოს“ მეტოქეს მძინვარე ბრძოლა აღუთქვა, თუმცა კარლუშ კეიროშის მფრინავ შეგირდთა წინააღმდეგ ჩვეულებრივი, „ადამიანური“ კლუბის შემართებამ ფუჭად ჩაიარა. „რა თქმა უნდა, ვთქვი, რომ „რეალთან“ „ბერნაბეუზე“ ან „კალდერონზე“ კი არაა, საკუთარ გულში ვითამაშებდით და მადრიდული დერბის დაძაბულობაც წინასწარ გაცნობეთ. ზუსტად ასე მოხდა. „ათლეტებს“ სისუსტეში ვერავინ დაგვადანაშაულებს. უბრალოდ, გუშინ სამეფო გუნდთან გამარჯვება შეუძლებელი იყო. ვინმემ რომ მითხრას, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გრეგორიო მანსანოს ხალხი უნდილად გაისარჯაო, ამას პირად შეურაცხყოფად მივიღებ“ — ხაზგასმით აღნიშნა დიეგომ.

ჟურნალისტთა შეკითხვაზე, რონალდოს ელვისებურ გოლზე რას ფიქრობო, ვეტერანმა მცველმა სევდანარევი აღტაცებით უპასუხა: „დიდებული გოლი გახლდათ. ამ დარტყმამ პრაქტიკულად მატჩის ბედი გადაწყვიტა. საერთოდ კი, ჩემი აზრით, ნებისმიერი სხვა გუნდი „რეალთან“ დაიბნეოდა და ბევრ გოლს გაუშვებდა, კიდევ ერთხელ გეუბნებით — მსოფლიოში უძლიერეს მობურთალებთან წავაგეთ“.

„ასთან“ საუბრის დასასრულს არგენტინელმა დასძინა: „მომდევნო ტურში „ესპანიოლს“ ვხდებით. საკუთარ სარბიელზე კატალონიელების ძლევის კარგი შანსი გვეძლება. აი, რაც შეეხება მადრიდის „რეალს“, მას „ბარსელონასთან“ ნამდვილად გაუჭირდება. „კამპ ნოუ“ მთელ ესპანეთს საოცარ სპექტაკლს შესთავაზებს“.



დიეგო სიმეონე

**ლადო ხომერიკი**

# კრესპო რევოლუციის მომხრეა

## აბრამოვიჩის დასის არგენტინელი მოცეკვავე

*სააგენტო „როიტერმა“ ერნან კრესპოს ბოლო ორი ინტერვიუ შეადარა ერთმანეთს. უფრო სწორად, თავად ინტერვიუები კი არ შეუდარებია, არამედ გარემო, რომელშიც არგენტინელი თავდამსხმელი „როიტერის“ თანამშრომელმა იხილა. პირველ შემთხვევაში კრესპო იაპონიის პატარა ქალაქ ჰიროსიმაში მატარებელში ჯდებოდა და თვალზე ცრემლი უბრწყინავდა. ეს 16 თვის წინანდელი ამბავია, როდესაც არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატს გამოეთიშა. მეორე შემთხვევაში, უკვე „ჩელსის“ ფორვარდი, ინგლისში ბურთაობის დადებით მხარეებზე მსჯელობდა და სიცოცხლით სავსე, ოპტიმისტური იერი ჰქონდა. ეს ახლა მოხდა, მას მერე, რაც გასულ აგვისტოში „ინტერიდან“ „ჩელსიში“ 29,05 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა და, როგორც გაირკვა მის კარიერაში ეს მეორე შემთხვევითი ნაბიჯი აღმოჩნდა*



„თუ ვიზრდები? უეჭველად. და ვცხოვრობ ისე, როგორც მინდოდა რომ მეცხოვრა. ხელფასი? ამაზე წესიერად არც გვილაპარაკია. სულ ორი წამი გაგრძელდა ყველაფერი, არც დავმჯდარვარ. ვთქვი „დიახ“, „არა“ და მორჩა. ერთი სიტყვით, ვთამაშობ იმიტომ, რომ ფეხბურთი მიყვარს. გოლს რომ გავიტან, სულაც არ ვყვირი: „აჰ, ახლა კი მეტ ფულს მოვითხოვ!“ — ამბობს კრესპო, რომელსაც ძალიან მოსწონს პრემიერლიგა.

„პრემიერლიგა სულ სხვა სტილისაა, მაგრამ იმავდროულად მომაჯადოვებელიც გახლავთ. დიდებული სანახავია ხალხი, რომელიც ფაქტობრივად, მატჩში მონაწილეობს და შენთვის გულს სდებს. აქ თამაში დინამიკურია. მასში მონაწილეობა და ამ თამაშით ცხოვრება ჩინებულია. აქ ფანებმა იციან, რომ თუ გოლი ვერ გაიტანე, არავინ მოგკლავს, უბრალოდ ადამიანი ხარ და შეგეშალა. აქ ხალხი იგრძნობა. გოლს რომ გაიტან, ისინი აყვირდებიან და დიდებული შეგრძნება გეუფლება: ისინი ყოველ შეხვედრას როგორც სპექტაკლს, როგორც სპორტს ისე უყურებენ. ასეც უნდა იყოს“.

შემდეგ არგენტინული ფეხბურთის ერთ-ერთმა თვალსაჩინო ვარსკვლავმა ინგლისური თამაშის პრინციპზე ილაპარაკა.

„მომწონს აქაური დამოკიდებულება, ყოველი ბურთისთვის ისე ბრძოლა, თითქოს ის ბოლო იყოს, შემდეგ კი წამოდგომა და მეტოქისთვის ხელის ჩამორთმევა“.

და მაინც, მას მოსწონს სამრეთული სტილიც, ჭკვიანური ბურთაობა, მეტოქის მოტყუება...

„ისიც ძალიან კარგი და ლამაზია. მე მალიზიანებს სტილების შედარება და დაპირისპირება“.

ხოლო რომან აბრამოვიჩის ეგრეთ წოდებულ „ჩელსის“ რევოლუციაზე არგენტინელი ფორვარდი ასე ფიქრობს:

„მინდა ამ რევოლუციის, ამ ისტორიის ერთი ფურცელი მაინც დავწერო. ეს ხომ ძალიან სერიოზული პროექტია“.

კიდევ, ერნან კრესპო ბომბარდირობას აპირებს. უნდა ინგლისის ჩემპიონატშიცა და ჩემპიონთა ლიგაშიც ყველაზე მეტი გოლი გაიტანოს, თუმცა ყველაფერზე მთავრად ჩემპიონთა თასის მოგება მიაჩნია. ევროპულ ჯილდოს ერნან კრესპომ ვერც „პარმაში“ მიაღწია, ვერც „ლაციოში“ და ვერც “ინტერში“.

„მარტში გამოჩნდება, რას მივუძღვნი თავს, ბომბარდირთა სიას, პრემიერლიგას თუ ჩემპიონთა ლიგას“.

და ბოლოს, ცხოვრება არალათინურ ქვეყანაში. ეს ხომ უცხო ენა და აურაცხელი საყოფაცხოვრებო პრობლემებია...

ერნან კრესპო სამხრეთდასავლეთ ლონდონში, თემზის სანაპიროზე დასახლდა. ამ რაიონს ბარნზი ჰქვია და არგენტინელი იქ ოდინდელ იტალიელ მეგობარ გოგონასთან, ალექსთან ერთად ცხოვრობს. თუმცა, დიდი გადასახლება კრესპოსთვის უცხო ხილი არ არის. განა იგი არ იყო, 1996 წელს „რივერ პლეიტისგან“ 4 მილიონად „პარმამ“ რომ იყიდა და იმხელა ოკეანე გადმოკვეთა?

„მაშინ იტალიაში ჩემი პრობლემები მხოლოდ მოედანს ეხებოდა და ალოღოც იოლად ავუღე. აქ, ინგლისში პრობლემები უფრო სოციალურია, თორემ ფეხბურთის თვალსაზრისით ყველაფერი მოგვარებული მაქვს. მოკლედ, ერთი ფაქტია: თუ იტალიაში ფეხბურთს კარგად თამაშობ, ესე იგი, ამ მხრივ პრობლემა არსად გექნება“.

# მარიო გაცოცხლდა
## ენფილდზე ჟარდელის თავი ნახეს



მარიო ჟარდელი



„ჩელსის" მეკარე ნილ სალივანს გამარჯვება სისხლის ფასად დაუჯდა

### ინგლისი

**ლიგის თასი. 1/8 ფინალი**

**ასტონ ვილა 3:0 კრ. პალასი**
1:0 საიმონსი (22ს.კ.), 2:0 გ. მაკკანი (70), 3:0 პაბლო ანხელი (79)

**ტოტენჰემი 3:1 მანჩესტერ სიტი**
1:0 ანდერტონი (9), 2:0 პოსტიგა (30), 2:1 ფაულერი (80), 3:1 კანო (90)

**ლივერპული 2:3 ბოლტონი**
0:1 ჟარდელი (4), 1:1 დენი მერფი (66), 1:2 ოკოჩა (79), 2:2 შმიცერი (88), 2:3 ჯორკაეფი (90პ)

**რედინგი 0:1 ჩელსი**
0:1 ჰასელბაინკი (57)

**ვესტ ბრომვიჩი 2:0 მანჩესტერი**
1:0 ბ. ჰაასი (6), 2:0 დობი (56)
გაძევება: კუმასი (24, ვესტ ბრომვიჩი)

**მიდლსბრო 0:0დ.დ.(პენ.5:4) ევერტონი**

**1/4 ფინალის წილისყრა**
ბოლტონი — საუთჰემპტონი; ასტონ ვილა — ჩელსი; ვესტ ბრომვიჩი — არსენალი; ტოტენჰემი — მიდლსბრო
*მატჩები გაიმართება 15 დეკემბერს*

სერ ალექს ფერგიუსონს ინგლისის ლიგის თასი ალბათ დიდად არ აღელვებს, რადგან მოედანზე ფაქტობრივად მეორე შემადგენლობა გაიყვანა.

„ვესტ ბრომვიჩი" პირველი დივიზიონის ლიდერი და პრემიერლიგაში აღზევების უმთავრესი კანდიდატია. მასპინძლებმა რიხით დაიწყეს და მეექვსე წუთზე დაწინაურდნენ. ნეილ კლემენტის მარცხენაფლანგური პასი ბერნტ ჰაასმა საჯარიმოში მიიღო და როი კეროლს ძლიერი დარტყმით გაუტანა.

პირველი ტაიმის შუაწელში სტუმართა ყმაწვილმა მცველმა პაგმა ჯეისონ კუმასი საპენალტედ დასცა, რომლის შესრულება თავად უელსელმა ინება, მაგრამ კეროლმა არ გაატანინა.

შესვენების შემდეგ შეცვლაზე შესული სკოტ დობის პირველივე შეხება ბურთთან გოლით დასრულდა. დობის თავურს „მანჩესტერის" მეკარე ვერ შესწვდა.

„მართალია, მეტოქე გუნდში მქუხარე სახელებს არ უთამაშიათ, მაგრამ ეს ფაქტი ჩვენს გამარჯვებას ალბათ არ დააკნინებს. ლიგის თასი „ვესტ ბრომვიჩისთვის" საკმაოდ მნიშვნელოვანია და ამ მოგებას ნაღდად ვიმსახურებდით" — თქვა ნამატჩევს მასპინძელთა მწვრთნელმა გერი მეგსონმა.

ბოლტონელთაგან გოლების ავტორებს თვალს რომ გადაავლებთ, მარიო ჟარდელს წააწყდებით. გასულ ზაფხულს ექიმების ხელში გამოვლილმა და „ბოლტონში" გადაბარგებულმა ბრაზილიელმა თავისი უშუალო მოვალეობის შესრულება პირველივე მატჩში შეძლო. შემოდგომა მან სათადარიგოთა სკამზე გაატარა და სემ ალარდაისი ფორვარდის საბოლოოდ მოღონიერებას ელოდა. „ლივერპულთან" გამარჯვებას სათავე სუპერმარიომ დაუდო. კუთხურიდან ჯორკაეფის ჩაწოდებულ ბურთს ბრაზილიელმა ნაქები თავური დაჰკრა და ანგარიში გახსნა.

„ლივერპულმა" გათანაბრება მეორე ტაიმში მოახერხა. სალიფ დიაომ დენი მერფი მოძებნა და მასპინძელმა ჟარდელის მსგავსად თავით გაიტანა.

სალიფ დიაოს ამ მატჩის მთავარკაცობა ეწერა. სენეგალელმა საკუთარ საჯარიმოსთან მეტოქე ფეხბურთელი წააქცია და ჯეი ჯეი ოკოჩამ თავისუფალი დარტყმა გოლად აქცია.

შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე სტივენ ჯერარდის პასით შმიცერმა 25 მეტრიდან კვლავ გაქვითა, მაგრამ სალიფ დიაომ შეხვედრის მიწურულს საჯარიმოში ბოლტონელი დევისი საპენალტედ წააქცია. თერთმეტმეტრიანი დარტყმა იური ჯორკაეფმა ზუსტად შეასრულა.

„ჩელსის" ვარსკვლავთკრებულს პირველდივიზიონელი „რედინგის" ძლევა გაუჭირდა. „არისტოკრატებმა" ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის წყალობით იმარჯვეს.

„მიდლსბროში" მეტოქეებმა უგოლოდ ითამაშეს. პენალტების სერიაში მასპინძელთა მეკარე მარკ შვარცერმა რიგით მესამე, ჯეინ ოსმანის დარტყმული მოიგერია, გადამწყვეტი კი გაისკა მენდიეტამ ჩვეული ოსტატობით შეასრულა.

„მანჩესტერ სიტი" წაგების გზას დაადგა. კევინ კიგანის გუნდს აშკარა დაღმასვლა აქვს, რადგან ბოლო ოთხ მატჩში ათი გოლი გაუშვა და მხოლოდ ერთი გაიტანა. სიტელები ამჯერად ლონდონში „მამლებმა" დაიფრინეს. „ტოტენჰემს" გამოჯანმრთელებული ფრედერიკ კანო დაუბრუნდა, რომელმაც თავისი გოლი გაიტანა. 13-მეტრიანი მშრალი სერია ელდერ პოსტიგამ შეწყვიტა და გოლის შემდეგ მაისურა „მამალ ქომაგებს" ესროლა.

**მაშა ხუციშვილი**


ბერნტ ჰაასმა ყმაწვილ მანჩესტერელებს ჭკუა ასწავლა

# ბრემენში ბერლინი გამოიტირეს



ბაიერნელთა სამი გოლიდან ერთი, რა თქმა უნდა, როი მაკაისა იყო

### გერმანია

**თასის 1/8 ფინალი**

**ლიუბეკი 1:0 ფრაიბურგი**
1:0 ბერვოლფი (76)
ფრაიბურგი: გოლცი, რაიტერი, შ. მიულერი, ბ. დიარა, ბერნერი, ა. ცაიერი (კაირო 62), ბაირამოვიჩი (შერმელი 46), ცქიტიშვილი (ანტარი 82), გუიე-მიენი, იაშვილი, ტანკო
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ბაირამოვიჩი, შერმელი, ცქიტიშვილი
11 500 მაყურებელი

**კიოლნი 1:1დ.დ.(პენ.1:3, 1:1) ფიურტი**
1:0 კრინგე (23), 1:1 კლაინი (76)

**ვერდერი 6:1 ჰერტა**
1:0 კლასნიჩი (19), 2:0 მიკუ (26), 3:0 კლასნიჩი (39), 4:0 ისმაელი (47), 5:0 აილტონი (78), 6:0 ხარისტიასი (85), 6:1 მარსელინიო (89)

**ბაიერნი 3:0 ჰამბურგი**
1:0 კ. პიზარო (28), 2:0 მაკაი (47), 3:0 სალიჰამიჯიჩი (73)

ბუნდესლიგაში „შალკესთან" მარცხის შემდეგ ჰუუბ სტევენსმა მათრახი ფრედი ბობიჩს გადაჰკრა და 32 წლის ფორვარდი ბრემენში არ ათამაშა. ამბობენ, რომ ბობიჩი მწვრთნელის იუბილეზე არ მისულა, როცა სტევენსს დაბადებიდან 50 შეუსრულდა და ფეხბურთელი ამიტომაც აითვალწუნა.

უბობიჩო „ჰერტას" ბრემენში სამგლოვიარო შეუსრულეს.

ხორვატმა კლასნიჩმა ანგარიში საჯარიმოში შექმნილი არეულობის შედეგად გახსნა. ბურთს ჭვინტი წაჰკრა და გაბორ კირალის ტანჯვაც დაიწყო. ფრანგმა იოან მიკუმ ბერლინელთა საჯარიმოში შეისეირნა და იოლად გაიტანა. ტაიმის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე კლასნიჩმა თხუთმეტიოდე მეტრიდან დაატუხა და კირალი კვლავ მთვლემარე გამოიჭირა.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე უნგრელს ერთხელ კიდევ „ჩაეძინა". ისმაელმა 25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა შეასრულა და ბურთი მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში გამოამწყვდია.

ამ გოლიდან დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში სტუმრებს ამოსუნთქვის საშუალება მისცეს. ნახეს, რომ არაფრის მაქნისები იყვნენ და მათი მოშთობა ხარისტიასმა ითავა. ჯერ საგოლე პასი აილტონს უბოძა და კარის წინ ეულად დატოვა, მერე კი თავად გამოაქანდაკა ორი მცველი და ანგარიშში სხვაობა ექვსამდე გაზარდა.

ბრაზილიელი მარსელინიოს მიერ შეხვედრის მიწურულს გაქვითული ერთი გოლი პატივაყრილ „ჰერტას" მცირედით მიესალბუნა.

ფრანც ბეკენბაუერისგან შეფუცხუნებულმა „ბაიერნმა" ინება და „ჰამბურგს" ღიღინით სძლია. „სელტიკთან" და „კიოლნთან" მოპოვებული ქულების შემდეგ ბეკენბაუერს ხასიათს ეს გამარჯვება გამოუკეთებდა.

პირველი გოლი ჰამბურგელი მცველის შეცდომას მოჰყვა. ზე რობერტომ ბურთი მოიხელთა და კლაუდიო პიზაროს საგოლედ უბოძა. პერუელ ფორვარდს ახლოდან გატანა არ გასჭირვებია, ისევე როგორც მეორე ტაიმის დასაწყისში როი მაკაის, რომელსაც პასი მარჯვენაფლანგელმა სალიჰამიჯიჩმა მიაწოდა. თავად ბოსნიელმა შეხვედრის დასრულებამდე თორმეტი წუთით ადრე ზე რობერტოს გარჯა დაუფასა და უზადო თავურით მესამე გოლი შეაგდო. მიხაელ ბალაკს და ბიქსენტ ლიზარაზუს ტრავმების გამო არ უთამაშიათ.

ბუნდესლიგის აუტსაიდერმა „კიოლნმა" „ფიურტთან" იმიტომ წააგო, რომ მასპინძელმა ფეხბურთელებმა პენალტები უშნოდ შეასრულეს. „თხები" კრინგეს გოლით იგებდნენ, მაგრამ სტუმარმა კლაინმა მეორე ტაიმში თავურით გაათანაბრა. მატჩისშემდგომ ლატარიაში ფიურტელმა მეკარემ ორი ბურთი მოიგერია, ერთი კი კრიგემ კარს ააცილა.

ალექსანდრე იაშვილი „ფრაიბურგით" ლიუბეკს ეწვია და თავის პირველ გერმანულ გუნდთან დამარცხდა. ერთადერთი გოლი, რომელიც ბერვოლფმა მიითვალა, კუთხურს მოჰყვა.

**მაშა ხუციშვილი**

### ინგლისი

**I დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

**ნოტინგემი 1:1 იფსვიჩი**
0:1 დ. ბენტი (62), 1:1 მორგანი (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 20 | 12 | 4 | 4 | 31:17 | 40 |
| ნორვიჩი | 21 | 11 | 6 | 4 | 30:20 | 39 |
| შეფილდი | 20 | 11 | 4 | 5 | 31:21 | 37 |
| იფსვიჩი | 21 | 10 | 5 | 6 | 41:31 | 35 |
| უიგანი | 21 | 9 | 8 | 4 | 29:21 | 35 |
| სანდერლენდი | 21 | 9 | 7 | 5 | 24:17 | 34 |
| რედინგი | 21 | 10 | 4 | 7 | 27:23 | 34 |
| ვესტ ჰემი | 20 | 8 | 9 | 3 | 27:16 | 33 |
| კარდიფი | 20 | 8 | 7 | 5 | 34:21 | 31 |
| პრესტონი | 20 | 8 | 4 | 8 | 26:23 | 28 |
| მილუოლი | 21 | 7 | 7 | 7 | 24:23 | 28 |
| ნოტინგემი | 21 | 7 | 6 | 8 | 33:30 | 27 |
| ქრიუ | 20 | 8 | 3 | 9 | 21:24 | 27 |
| ჯილინგემი | 21 | 7 | 5 | 9 | 27:34 | 26 |
| ქოვენთრი | 21 | 5 | 10 | 6 | 26:28 | 25 |
| ბარნსლი | 21 | 6 | 7 | 8 | 29:34 | 25 |
| უოლსოლი | 20 | 6 | 6 | 8 | 23:23 | 24 |
| უოტფორდი | 21 | 6 | 6 | 9 | 22:26 | 24 |
| როტერჰემი | 21 | 5 | 8 | 8 | 18:28 | 23 |
| კრ. პალასი | 20 | 5 | 7 | 8 | 23:31 | 22 |
| დერბი | 21 | 5 | 7 | 9 | 23:34 | 22 |
| სტოკი | 20 | 5 | 5 | 10 | 22:29 | 20 |
| ბრედფორდი | 20 | 4 | 5 | 11 | 19:31 | 17 |
| უიმბლდონი | 21 | 4 | 2 | 15 | 22:47 | 14 |

### ბელგია

**თასის 1/8 ფინალი**

**ლიერსი 5:0 მილენი**
1:0 უილსი (9), 2:0 ტიმერმანი (59), 3:0 კოვერლიე (66), 4:0 უილსი (70), 5:0 ფრიგაარდი (82)

### მექსიკა

**კლეი ოფი. 1/4 ფინალი**
**პირველი მატჩები**

**ტოლუკა 2:2 უნამი**
**კრუზ ასული 0:1 ტიგრესი**

# პირველად საფრანგეთში ათი ქულა მოგებისთვის

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. XVI ტური**

**ოსერი 1:0 ლე მანი**
1:0 ფიშერი (19ს.კ.)

**ბასტია 3:2 რენი**
0:1 უადუ (9), 1:1 ფ. მორისი (35), 1:2 პიკიონი (60), 2:2 კოე (62), 3:2 ი. ჰაჯი (81)

**გენგამი 2:0 აიაჩო**
1:0 იაია (65), 2:0 ანდრე (72)

**ლილი 2:0 ნანტი**
1:0 ბრუნელი (43), 2:0 ე. ტაპია (90)

**ტულუზი 1:2 ლანსი**
0:1 მორეირა (57), 0:2 დიანე (59), 1:2 ნდოი (78)

**პსჟ 3:2 სტრასბური**
0:1 ლიუბოია (14), 1:1 ბოშკოვიჩი (21), 2:1 რეინალდო (62), 3:1 პაულეტა (67), 3:2 ფამი (79)

**მონპელიე — სოშო** გადაიდო
**ლიონი — ბორდო** გადაიდო
**მეცი — მარსელი** გადაიდო
**მონაკო — ნიცა** გადაიდო

ათიდან ოთხი მატჩი ორი მიზეზის გამო გადაიდო. „მონპელიემ" „სოშოს" ვერ უმასპინძლა, რადგან სამხრეთ საფრანგეთში წყალდიდობაა და საბურთაოდ არ სცალიათ. „ლიონს", „მარსელსა" და „მონაკოს" მომავალ კვირაში ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურიელით და ჩინოვნიკებმა ბობოლებს დასვენების საშუალება მისცეს.

„მარსელისა" და „სოშოს" უქმობით პსჟ-მ ისარგებლა და მესამე ადგილზე გადასკუპდა. დედაქალაქელებმა დაუძლურებულ „სტრასბურს" სძლიეს, რომელსაც მოუგებელ მატჩთა სერია შვიდამდე გაუგრძელდა.

ანგარიში სტუმართა სერბმა ლუბოიამ კოხტა საჯარიმო დარტყმით გახსნა. ბურთი „კედელს" შემოავლო და ჟერომ ალონზოს ჩარჩოში ჩაუსვა.


პსჟ — სტრასბური. გაბრიელ ჰაინცემ (მარცხნივ) და პარიზელებმა სტუმრები შინ უქულოდ გაუშვეს

ლუბოიას პარიზელმა თვისტომმა ბრანკო ბოშკოვიჩმა მალევე გაათანაბრა, შესვენების შემდეგ კი რონალდინიოს შემცვლელად მისულმა რეინალდომ აიწყვიტა. ბრაზილიელმა ჯერ თავად გაიტანა, მერე პედრო პაულეტას საგოლე პასით ჩაუზიარდა. სტრასბურელებმა მხოლოდ მაროკოელი ფაჰმის გვიანი გოლით შეძლეს სხვაობის შემცირება.

ეს ნაკლული ტური მეტად უხეშიც გამოდგა. ექვს შეხვედრაში ოთხი ფეხბურთელი გააძევეს და მათგან სამმა მოედანზე ერთი ტაიმიც ვერ გაძლო.

აგვისტოს ლიდერმა „ლილმა" 12-მატჩიანი წარუმატებელი სვლა შეწყვიტა. ლილელებმა გამარჯვება ათკაცა „ნანტთან" მოახერხეს. სტუმრებს მარიო იეპესი თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში უხეშობისთვის გაუგდეს. ფილიპ ბრუნელმა მიკაელ ლანდროს კარში შორიდან უძლიერესად გაისროლა და ლანდრო ხაზზე არც კი შეტოკებულა. მეორე გოლი ბოლო წუთზე ჩილელმა ექტორ ტაპიამ მიითვალა, რომელმაც ზურგმოშიშვლებული ნანტელები გამოიჭირა.

გენგამში მასპინძლებმა ზედიზედ სამი მარცხის კვალზე მოიგეს. ამ საქმეში მათ კორსიკელი ფორვარდის უნიჭობაც წაეხმარა, რადგან „აიაჩოს" გრეგორი ლაკომბი საჯარიმოში „ჩაყვინთვისთვის" გააძევეს და კუნძულელები კაცნაკლულნი დარჩნენ. სტუმრებმა ერთი საათი გაძლეს, მერე კი ორი გოლი გაუშვეს.

გაძვალტყავებულ ტულუზელებს პირველი ტაიმის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე ფორვარდი კრისტოფ ავეზაკი მეტოქეზე ავაზაკურად თავდასხმისთვის მოედნიდან მიაბრძანეს. „ლანსმა" შესვენების შემდეგ მასპინძელთა დამწუხრება ორჯერ შეძლო. დანიელ მორეირას გოლს მუნირ დიანემ უმალ ოციოდ მეტრიდან ზუსტი დარტყმა მიაყოლა, რაზეც უსმან ნდოიემ ერთით უპასუხა.

„ბასტიამ" აბდუსალემ უადუსგან საკუთარ კარში მერვე წუთზევე მიიღო გოლი, მაგრამ ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა პენალტი მოინადირეს, რომელიც ფლორიან მორისმა შეასრულა. ბურთი ძელიდან უკუიქცა, თუმც მორისმა დასწრებაზე ივარგა.

მეორე ნახევარში ფრედერიკ პიკიონმა „რენი" კვლავ დააწინაურა, თუმც ბენუა კოემ (რომელიც მოგვიანებით გააძევეს), მალევე გაათანაბრა, „ბასტიას" მაროკოელმა იუსუფ ჰაჯიმ კი უზადო თავურით გამარჯვების გოლი შეაგდო.

დღეს მე-17 ტური დაიწყება და მთავარი ჯახი ცხადია „მარსელი"-„მონაკოა". მასპინძელთა მწვრთნელმა ალენ პერენმა თქვა, ათქულიანი მატჩიაო.

**გაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 15 | 11 | 3 | 1 | 28:12 | 36 |
| ლიონი | 15 | 9 | 3 | 3 | 29:12 | 30 |
| პსჟ | 16 | 9 | 3 | 4 | 21:13 | 30 |
| ლანსი | 16 | 9 | 1 | 6 | 16:21 | 28 |
| მარსელი | 15 | 9 | 0 | 6 | 22:15 | 27 |
| სოშო | 15 | 8 | 3 | 4 | 22:16 | 27 |
| ოსერი | 16 | 8 | 2 | 6 | 26:16 | 26 |
| ნანტი | 16 | 7 | 1 | 8 | 16:16 | 22 |
| ნიცა | 15 | 5 | 7 | 3 | 13:13 | 22 |
| ბასტია | 16 | 6 | 4 | 6 | 21:24 | 22 |
| მონპელიე | 15 | 6 | 3 | 6 | 22:22 | 21 |
| სტრასბური | 16 | 5 | 5 | 6 | 22:21 | 20 |
| ბორდო | 15 | 5 | 5 | 5 | 13:13 | 20 |
| რენი | 16 | 4 | 6 | 6 | 17:17 | 18 |
| ლილი | 16 | 4 | 6 | 6 | 17:21 | 18 |
| აიაჩო | 16 | 4 | 4 | 8 | 14:22 | 16 |
| მეცი | 15 | 4 | 3 | 8 | 12:16 | 15 |
| გენგამი | 16 | 4 | 2 | 10 | 15:25 | 14 |
| ლე მანი | 16 | 2 | 5 | 9 | 12:27 | 11 |
| ტულუზი | 16 | 2 | 4 | 10 | 11:27 | 10 |

**II დივიზიონი. XVII ტური**

ლე ავრი — გენიონი 5:0; ამიენი — რუანი 2:1; ბეზანსონი — კაენი 0:1; შატორუ — ისტრი 1:0; კრეტეი — ლავალი 2:1; ნანსი — ანჟერი 2:1; სედანი — კლერმონი 1:1. *სენტ ეტიენი — ნიორი და ვალანსი — გრენობლი გადაიდო, ლორიანი — ტრუა წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტრი | 17 | 11 | 3 | 3 | 21:7 | 36 |
| კაენი | 17 | 8 | 6 | 3 | 22:13 | 30 |
| ამიენი | 17 | 8 | 6 | 3 | 18:11 | 30 |
| ნიორი | 16 | 8 | 5 | 3 | 19:9 | 29 |
| ლორიანი | 16 | 8 | 3 | 5 | 29:17 | 27 |
| სენტ ეტიენი | 16 | 8 | 2 | 6 | 16:14 | 26 |
| ნანსი | 17 | 6 | 7 | 4 | 20:15 | 25 |
| ლე ავრი | 17 | 6 | 6 | 5 | 19:15 | 24 |
| სედანი | 17 | 5 | 8 | 4 | 12:13 | 23 |
| ტრუა | 16 | 5 | 7 | 4 | 18:17 | 22 |
| შატორუ | 17 | 5 | 7 | 5 | 18:22 | 22 |
| კლერმონი | 17 | 5 | 7 | 5 | 19:26 | 22 |
| კრეტეი | 17 | 4 | 8 | 5 | 18:18 | 20 |
| ვალანსი | 16 | 5 | 5 | 6 | 18:20 | 20 |
| ანჟე | 17 | 4 | 6 | 7 | 16:21 | 18 |
| გენიონი | 17 | 3 | 8 | 6 | 16:22 | 17 |
| ლავალი | 17 | 3 | 6 | 8 | 19:28 | 15 |
| რუანი | 17 | 2 | 7 | 8 | 14:25 | 13 |
| გრენობლი | 16 | 1 | 8 | 7 | 11:17 | 11 |
| ბეზანსონი | 17 | 2 | 5 | 10 | 12:25 | 11 |

# საქართველოს საუკეთესო გენუაში გამოჩნდა

## იტალია

**თასის 1/8 ფინალი**
**I მატჩები**

**სამპდორია 0:1 მილანი**
0:1 მ. კონტე (79ს.კ.)
**მილანი:** აბიატი, შიმიჩი (აბატე 68), ლაურსენი, კოსტაკურტა, კალაძე (ნესტა 68), ბროკი, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა (რუი კოშტა 73), ტომასონი, ბორიელო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
10 000 მაყურებელი

**ბოლონია 0:1 უდინეზე**
0:1 იანკულოვსკი (81)

**ვენეცია 0:2 პარმა**
0:1 როზინა (53), 0:2 გრიეკო (71'3)

**მოდენა 0:2 ლაციო**
0:1 ს. ინძაგი (42), 0:2 მუცი (65)

სიმონე ინძაგისა და რობერტო მუცის გოლებით „ლაციომ" „მოდენას" მოუგო. ეს გახლდათ იტალიის თასის მეორე ეტაპის პირველი შეხვედრა, რომელიც მოდენაში გაიმართა. სტუმრებმა ანგარიში შესვენებამდე სამი წუთით ადრე გახსნეს, როდესაც ბურთის უხეიროდ მოგერიებამ ინძაგის მასპინძელთა საჯარიმოში დრიბლინგის და ადრიანო ძანკოპეს მიღმა ძლიერი დარტყმის საშუალება მისცა.

მეორე გოლი 65-ე წუთზე „უდინეზეს" ყოფილმა ფორვარდმა მუციმ, ინძაგის მიერ თავით დაგდებულის ცხრიანში გაჭედვით შეაგდო. რაც შეეხება „მოდენას", მას ყველაზე მწვავე საგოლე მომენტი საფინალო სასტვენამდე ცხრა წუთით ადრე ჰქონდა, როდესაც ნახევარმცველმა, რიკარდო ალეგრეტიმ საჯარიმო დაარტყა, მაგრამ „ლაციოს" მეკარემ, მატეო სერენიმ ბურთი ძელს გადალმა გადააგდო.

რაც შეეხება თასის მფლობელს, „მილანს", გენუაში „სამპდორიასთან" მისი გამარჯვება მირკო კონტეს ავტოგოლმა განაპირობა. ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი გახლდათ იმით, რომ ტრავმის შემდეგ მოედანს საქართველოს ბოლო სამი წლის საუკეთესო ფეხბურთელი, კახა კალაძე დაუბრუნდა. მილანელთა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ პირველად ათამაშა სასტარტო შემადგენლობაში მარკო ბორიელო.


სამპდორია — მილანი. კარგა ხნის იძულებითი შესვენების მერე ბურთი კახა კალაძემაც გააგორა

სტუმრებს ანგარიში მეოთხე წუთზევე უნდა გაეხსნათ, როდესაც გენუელ მცველთა შეცდომამ იონ დალ ტომასონს სახეირო მდგომარეობა უბოძა, მაგრამ დანიელის დარტყმული მიზანს აცდა. კიდევ რამდენიმე ხიფათი გენუელებს კაკამ შეუქმნა, აქეთა კართან კი ფაბიენ ვენტოლამ ვერ დააგვირგვინა თავისი წამოწყება.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდმა მინდორზე უფრო გამოცდილი ან უკეთეს ფორმაში მყოფი მოთამაშეები შეუშვა. ამის მერე კრისტიან ბროკის დარტყმულმა ძელთან სახიფათოდ ახლოს ჩაიქროლა, ხოლო ლუკა ანტონინი მილანელთა კარში ამაოდ ითხოვდა პენალტს.

შეხვედრის ყველაზე სახიფათო მომენტი რუი კოშტას ჰქონდა, როდესაც ახალშესულს მეკარე ლუიჯი ტურჩიმ აულო ბურთი, საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე კი „მილანმა" იღბლის წყალობით გაიტანა: ბროკის დაბალი პასი იონ დალ ტომასონს არ მიუვიდა, რადგან „სამპდორიას" მცველმა მირკო კონტემ ბურთის მოგერიების ნაცვლად იგი თავისი გუნდის კარში შეაგდო.

„ბოლონიას" კი კრიზისი უმძაფრდება. სეზონის საძაგელი დასაწყისი აგერ, შინ, თასზე, „უდინეზესთან" წაგებით გაგრძელდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი ჩეხმა მარეკ იანკულოვსკიმ 81-ე წუთზე, ჯანპიერო პინცის ჩინებული პასით გაიტანა.

გოლი გოლად და აღსანიშნავია, რომ მთელი მატჩის განმავლობაში ინიციატივას სტუმრები ფლობდნენ, ხოლო მასპინძლები იდეებდაშრეტილნი ჩანდნენ.

კიდევ ერთ შეხვედრაში „პარმამ" სერია B-ს ბინადარს, „ვენეციას" 2:0 მოუგო.

**ბაჩუნა ძიდია**

## ჰოლანდია

**I დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

**ვოლენდამი 2:0 ტვენტე**
1:0, 2:0 ესაიასი (14, 74)

**ალკმაარი 2:1 გრონინგენი**
1:0, 2:0 ელხატაბი (17, 83), 2:1 სალმონი (84)

**ჰერენვენი 2:0 დენ ჰააგი**
1:0 სიბონი (52), 2:0 სამარასი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 13 | 11 | 1 | 1 | 38:14 | 34 |
| პსვ | 13 | 9 | 3 | 1 | 34:12 | 30 |
| ალკმაარი | 14 | 9 | 2 | 3 | 28:16 | 29 |
| ფეიენოორდი | 13 | 7 | 3 | 3 | 24:16 | 24 |
| ტილბურგი | 13 | 6 | 3 | 4 | 23:21 | 21 |
| როდა | 13 | 5 | 5 | 3 | 23:15 | 20 |
| ტვენტე | 14 | 6 | 1 | 7 | 25:26 | 19 |
| უტრეხტი | 13 | 5 | 4 | 4 | 16:17 | 19 |
| ჰერენვენი | 13 | 6 | 1 | 6 | 14:15 | 19 |
| გრონინგენი | 14 | 5 | 4 | 5 | 20:22 | 19 |
| როზენდალი | 13 | 4 | 5 | 4 | 12:14 | 17 |
| ვალვაიკი | 13 | 4 | 3 | 6 | 17:18 | 15 |
| ბრედა | 13 | 4 | 2 | 7 | 18:18 | 14 |
| ვოლენდამი | 13 | 3 | 4 | 6 | 17:28 | 13 |
| ნაიმეგენი | 13 | 4 | 0 | 9 | 15:26 | 12 |
| დენ ჰააგი | 14 | 2 | 4 | 8 | 11:30 | 10 |
| ვიტესი | 13 | 1 | 6 | 6 | 18:26 | 9 |
| ზვოლე | 13 | 1 | 3 | 9 | 6:25 | 6 |

## შოტლანდია

**ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

***რეინჯერსი* 3:0 სენტ ჯონსტონი**
1:0 ბარკი (16), 2:0 ოსტენსტადი (59), 3:0 მოლსი (90)
**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, რიკსენი, ხიზანიშვილი, მალკოლმი, ვანოლი, ბარკი (მორის როსი 85), ს. ჰიუზი, ემერსონი, ლოვენკრანდსი, ოსტენსტადი (ნუნუ კაპუშუ 70), მოლსი
***შოთა არველაძე ტრავმირებულია***
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
29 395 მაყურებელი

***დანდი* 1:0დ.დ.(0:0) ჰართსი**
1:0 ლინი (107)

# ტომით ბერლინელი ტომი

## მოძულებული სტევენსი მოყვარულით შეცვალეს



დიტერ ჰოინესმა ჰუუბ სტევენსს ანდრეას ტომი ამჯობინა





ბერლინის „ჰერტას" საამსეზონო მიზანი... ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა გახლდათ. ამ იმედით შეუდგნენ საქმეს კლუბის გენერალური მენეჯერი დიტერ ჰოინესი და „შალკედან" შარშან გადაყვანილი მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი.

ახლა საშემოდგომო მონაგარი ჩამოვთვალოთ: ბუნდესლიგაში მე-17 ადგილზე არიან, უეფას თასიდან გავარდნენ, გუშინწინ კი გერმანიის თასიდან ბრემენელებმა დაიფრინეს.

დიტერ ჰოინესმა ორიოდ თვის წინ დააპირა მწვრთნელის მოხსნა და ულტიმატუმი წაუყენა, ორ მატჩს ზედიზედ თუ მოიგებ, პოსტზე დარჩებიო — სტევენსმა შეძლო და ნდობა დაიბრუნა, მაგრამ რომელ ნდობაზეა ლაპარაკი „ვერდერთან" 1:6-ის შემდეგ.

„გადავწყვიტეთ, რომ ჰუუბ სტევენსს დავემშვიდობოთ. შექმნილი ვითარებიდან სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ" — განაცხადა გუშინ ჰოინესმა.

„ჰერტას" დროებით ამ გუნდის ყოფილი ფეხბურთელი ანდრეას ტომი უთავკაცებს, რომელიც რეგიონალლიგაში მოთამაშე ბერლინელებთან მუშაობდა.

ბუნდესლიგის პირველი წრე 17 დეკემბერს მთავრდება და შესაძლოა, „ჰერტას" ახალი მწვრთნელი მანამდე დაუნიშნონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

*„კაიზერსლაუტერნის" ფინანსური აწეწილობა ორი წლის წინ დაიწყო. მაშინ კლუბის პრეზიდენტი იურგენ ფრიდრიხი გახლდათ, რომელსაც გადასახადების დამალვაში ადანაშაულებდნენ და სასამართლოდანაც არაერთხელ მიაკითხეს. პრეზიდენტმა შარშან პოსტი მიატოვა და მართლმსაჯულებასაც დაუსხლტა, თუმცა დროებით. 60 წლის იურგენ ფრიდრიხს გუშინ დილით სახლში პოლიციელები დაადგნენ და დააპატიმრეს*



იურგენ ფრიდრიხი

# ექსპრეზიდენტი საწოლში დააგეს

ქალაქის პროკურორ ებერჰარდ ბაიერას თქმით: „ფრიდრიხმა საჯაროდ განაცხადა, რომ გერმანიაში საქმიანობას თავს ანებებს და ბრაზილიაში წასვლას აპირებს. ფაქტობრივად, ქვეყნიდან გაქცევას ცდილობდა და ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი აყვანა. „კაიზერსლაუტერნის" ექსპრეზიდენტის საქმე ჯერ ძიებაშია. მას გადასახადების დამალვა და თაღლითობა ბრალდება და იძულებულები გავხდით, დაგვეკავებინა."

იურგენ ფრიდრიხის მოღვაწეობა „კაიზერში" ოტო რეჰაგელის წასვლით და კლუბის გაკოტრებით დასრულდა. „წითლებმა" ვალების გასასტუმრებლად სტადიონიც კი გაყიდეს და ოდნავ ამოისუნთქეს, თუმც ბუნდესლიგაში ჯერჯერობით ცხრილის ქვედა ნაწილში ყურყუმელაობენ. ეს, რა თქმა უნდა, ექსპრეზიდენტის „დამსახურებაა".

თავად იურგენ ფრიდრიხი, ცხადია, ყველა ბრალდებას უარყოფს. მას პასპორტი ჩამოართვეს და შესაძლოა, თავდებით გაათავისუფლონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვინაა ანრი?

## ანჩელოტიმ ფრანგი შარყო

*ეს დღეებია, იტალიური ჟურნალ-გაზეთები თუ სააგენტოები იტყობინებიან, ევროპის ჩემპიონთა თასის ახლანდელი მფლობელი „მილანი" ძალიან ხმაურიანი ტრანსფერისთვის ემზადებაო.*

*ერთი შეხედვით, „შავ-წითლებს" ყველა რგოლში ძალიან დაბალანსებული გუნდი ჰყავთ, კლუბშიც სადღეისოდ 24 ფეხბურთელი ირიცხება და კონკურენციაც დიდია, მაგრამ...*

ამბობენ, 37 წლის უბერებელი ალესანდრო კოსტაკურტა ახალი სეზონიდან ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებს და „როსონერის" ხელმძღვანელობაც მის კვალიფიციურ შემცვლელს ეძებს.

არიედო ბრაიდა, „მილანის" გენერალური დირექტორი: „კურსი შევცვალეთ. ადრე თუ აქცენტს ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელებზე ვაკეთებდით, ახლა გამოცდილი, უმაღლესი კლასის მოთამაშეები გვესაჭიროება. „მილანი" დიდი გუნდია და მის ღირსებასაც ვარსკვლავები უნდა იცავდნენ".

და მაინც ვისზეა ლაპარაკი? „როსონერის" ხელმძღვანელობას კონკრეტული მოლაპარაკება არავისთან დაუწყია, თუმც ბრაზილიელების — ალექსის და ლუსიოს, პარმელი დანიელე ბონერას და „ვილიარეალში" განათხოვრებული ფაბრიციო კოლოჩინის სახელს ხშირად ახსენებენ.

კარლო ანჩელოტი, „მილანის" მწვრთნელი: „ვერ ვიტყვი, რომ თუნდაც ალექსი ან კოლოჩინი კოსტაკურტას სრულფასოვანი შემცვლელები იქნებიან, მაგრამ კოლოჩინიმ ძალიან მოუმატა ესპანეთში და კარგ მცველადაც ყალიბდება".

21 წლის ფაბრიციო კოლოჩინი, გითხარით, „მილანის" საკუთრებაა. იტალიაში 18 წლისა გადაბარგდა არგენტინული „სან ლორენსოდან", თუმც წლოვანების გამო ძირითადში ფეხის მოკიდება ძალიან გაუჭირდა — შარშან მადრიდულ „ატლეტიკოში" გაანათხოვრეს, ამჟამად ბენიტო ფლოროს „ვილიარეალშია".

ახლა კი დროა იმ შესაძლო ხმაურიან ტრანსფერზეც ვთქვათ. მოგეხსენებათ, ლონდონის „არსენალის" ფრანგ მეგოლე ტიერი ანრის ბევრმა ბობოლა კლუბმა დაადგა თვალი. მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ამას წინათ დაუფარავად განაცხადა, მსურს, ანრი „რეალში" ვიხილოო. იქით კი, „ბარსელონას" პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ წამოყო თავი და ინჩადას შეპირდა, ტიერის „კამპ ნოუზე" ჩამოგიყვანთო.

ახლა მათ „მილანიც" შეუერთდა. იმავ არიედო ბრაიდას მტკიცებით, „როსონერი" მზადაა, ანრის სანაცვლოდ 40 მილიონი ევრო და პლუს იონ დალ ტომასონი, ანაც კლარენს ზეედორფი გაიმეტოს.

„დიახ, ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ანრით — ამბობს ბრაიდა — ის ძალიან ძლიერი ფორვარდია, მაგრამ..." სწორედ ეს მაგრამ ალევებს ბრაიდას. საქმე ისაა, რომ ანრის გუნდში ხილვა თვით კარლო ანჩელოტის არ სურს. კარლიტო ამბობს: „კი, ბატონო, გეთანხმებით, ანრი სუპერფორვარდია, მაგრამ მე გუნდში უკვე მყავს ასეთები. ანდრეი შევჩენკო და ფილიპო ინძაგი კარზე დაგეშილი და სუპერმეგოლე თავდამსხმელები არიან".

ასეთია ანჩელოტის მოსაზრება და აქვე ისიც დავძინოთ, რომ არც ტიერი ანრის სურს იტალიაში დაბრუნება. იგი ხომ ერთხანს ტურინის „იუვენტუსში" თამაშობდა და მერე გადაბარგდა ნისლიან ალბიონზე.

**გიორგი ვაშაძიძე**






**სამკურნალო გაერთიანება**

**„ლიგა"**

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21**

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XV ტური** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 001 | ნიუკასლი-ლივერპული | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 002 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 003 | ფულემი-ბოლტონი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 004 | ლიდსი-ჩელსი | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2,21 | 1,23 | 1,07 |
| 19.00 | 005 | ლესტერი-არსენალი | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2,21 | 1,23 | 1,07 |
| 19.00 | 006 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 007 | მანჩესტერი-ასტონ ვილა 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,6 | | | |
| 19.00 | 008 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 009 | ტოტენჰემი-ვულვერჰემპტონი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 010 | ევერტონი-სიტი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 20.05 | 011 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXII ტური** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 018 | ბერნლი-შეფილდი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 19.00 | 019 | კრიუ-გილინგემი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 020 | იფსვიჩი-დერბი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 021 | მილუოლი-ნორვიჩი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 022 | პრესტონი-კრისტალ პალასი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 023 | სტოუკ-კარდიფი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 024 | უოლსოლი-ბრედფორდი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 19.00 | 025 | უოტფორდი-ნოტინგემი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 026 | ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 027 | უიგანი-რიდინგი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 19.00 | 028 | უიმბლდონი-როტერჰემი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 029 | ქოვენტრი-სანდერლენდი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 033 | დარლინგტონი-იორკი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 034 | ჰალი-ბერი | 1,6 | 3,4 | 5,3 | 1,08 | 1,22 | 2,07 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 037 | დაგ ენდ რედი-ნორთვიჩი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.00 | 038 | ექსეტერი-ფორესტ გრინი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 19.00 | 039 | ფარნბორო-მარგეიტი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 19.00 | 040 | ჰალიფაქსი-ჩესტერი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 19.00 | 041 | შრუსბერი-ტელფორდი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XV ტური** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 044 | ლივინგსტონი-სელტიკი | 11,0 | 5,0 | 1,22 | 3,43 | 1,09 | 1 |
| 19.00 | 045 | დანდი-კილმარნოკი | 2,35 | 3,4 | 2,6 | 1,38 | 1,23 | 1,47 |
| 19.00 | 046 | დანფერმლაინი-პარტიკი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 047 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1,12 | 6,0 | 17,0 | 1 | 1,05 | 4,43 |
| | 048 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,4 | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 049 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 19.00 | 050 | ჰარტსი-მაზერველი | 3,5 | 3,4 | 1,9 | 1,72 | 1,23 | 1,21 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 052 | ბრეჩინი-ფალკირკი | 4,6 | 3,6 | 1,6 | 2,01 | 1,18 | 1,1 |
| 19.00 | 053 | კლაიდი-რეითი | 1,5 | 3,8 | 5,6 | 1,07 | 1,18 | 2,26 |
| 19.00 | 054 | ინვერნესი-ქუინი | 1,9 | 3,5 | 3,3 | 1,23 | 1,2 | 1,69 |
| 19.00 | 055 | სტ.ჯონსტონი-როსი | 2,0 | 3,4 | 3,2 | 1,25 | 1,23 | 1,64 |
| 19.00 | 056 | სტ.მირენი-აირი | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 063 | ერდრი-ბერვიკი | 2,15 | 3,4 | 2,8 | 1,31 | 1,21 | 1,53 |
| 19.00 | 064 | ისტ ფაიფი-ჰამილტონი | 2,2 | 3,4 | 2,7 | 1,33 | 1,21 | 1,5 |
| 19.00 | 065 | ფორფარი-ალოა | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| 19.00 | 066 | მორტონი-არბროთი | 1,4 | 3,8 | 6,5 | 1,02 | 1,15 | 2,39 |
| 19.00 | 067 | სტენჰაუსმუირი-დამბარტონი | 2,35 | 3,4 | 2,45 | 1,38 | 1,19 | 1,42 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 073 | კოუდენბითი-ელგინი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |
| 19.00 | 074 | პიტერჰედი-ალბიონი | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| 19.00 | 075 | ქუინზ პარკი-ისტ სტირლინგი | 1,45 | 3,8 | 5,6 | 1,04 | 1,15 | 2,26 |
| 19.00 | 076 | სტირლინგი-გრეტნა | 1,65 | 3,6 | 4,2 | 1,13 | 1,18 | 1,93 |
| 19.00 | 077 | სტრანრაერი-მონტროუზი | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XV ტური** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 080 | მიუნხენი-ჰანზა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 081 | დორტმუნდი-ჰერტა | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 082 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 083 | ვერდერი-ბაიერნი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 18.30 | 084 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 18.30 | 085 | აინტრახტი-ჰანოვერი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 18.30 | 086 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 087 | კიოლნი-ლევერკუზენი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 20.30 | 088 | შალკე-მიონხენგლადბახი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XV ტური** | | | | | | |
| | | **5 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 092 | დუისბურგი-აუე | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 22.00 | 093 | ტრიერი-კარლსრუე | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 22.00 | 094 | რეგენსბურგი-ბურგჰაუზენი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 095 | არმინია-ფიურტი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 18.00 | 096 | ნიურნბერგი-ოსნაბრიუკი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 18.00 | 097 | ალემანია-ობერჰაუზენი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 18.00 | 098 | უნიონი-ალენი | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| 18.00 | 099 | ლიუბეკი-კოტბუსი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.15 | 100 | უნტერჰახინგი-მაინცი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XIX ტური** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 104 | ლაიპციგი-პადერბორნი | 2,5 | 3,3 | 2,35 | 1,42 | 1,21 | 1,37 |
| 17.00 | 105 | ნოიმიუნსტერი-კილი | 2,35 | 3,2 | 2,35 | 1,35 | 1,17 | 1,35 |
| 17.00 | 106 | ურდინგენი-ჰამბურგი(მ) | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| 17.00 | 107 | მიუნსტერი-სტ.პაული | 2,5 | 3,3 | 2,35 | 1,42 | 1,21 | 1,37 |
| 17.00 | 108 | კიოლნი(მ)-ქემნიცი | 1,95 | 3,4 | 3,2 | 1,23 | 1,21 | 1,64 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 109 | ვერდერი(მ)-ესენი | 2,1 | 3,3 | 2,8 | 1,28 | 1,19 | 1,51 |
| 17.00 | 110 | ვატენშაიდი-დინამო | 2,4 | 3,3 | 2,45 | 1,38 | 1,21 | 1,4 |
| 17.00 | 111 | ბრაუნშვაიგი-ვუპერტალი | 2,2 | 3,4 | 2,7 | 1,33 | 1,21 | 1,5 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XIX ტური** | | | | | | |
| | | **5 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 117 | ოფენბახი-შტუტგარტი(მ) | 1,8 | 3,4 | 3,5 | 1,17 | 1,18 | 1,72 |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 118 | ვეჰენი-ფულენდორფი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| 17.30 | 119 | ელვერსბერგი-ჰოფენჰაიმი | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| 17.30 | 120 | ფიოხტი-აუგსბურგი | 2,2 | 3,3 | 2,8 | 1,32 | 1,23 | 1,51 |
| 17.30 | 121 | აალენი-ზაარბრიუკენი | 2,35 | 3,3 | 2,5 | 1,37 | 1,21 | 1,42 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 122 | კაიზერსლაუტერნი(მ)-მაინცი(მ) | 2,35 | 3,3 | 2,5 | 1,37 | 1,21 | 1,42 |
| 18.00 | 123 | ზიგენი-ერფურტი | 2,05 | 3,4 | 3,0 | 1,27 | 1,21 | 1,59 |
| | | **იტალია. სერია A. XII ტური** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 127 | ემპოლი-მილანი | 5,6 | 3,2 | 1,65 | 2,03 | 1,27 | 1,08 |
| 23.30 | 128 | ლაციო-იუვენტუსი | 2,7 | 3,0 | 2,4 | 1,42 | 1,27 | 1,33 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 129 | ბოლონია-ანკონა | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 18.00 | 130 | ინტერი-პერუჯა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 131 | ინტერი-პერუჯა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 18.00 | 132 | ლეჩე-პარმა | 3,2 | 3,0 | 2,25 | 1,54 | 1,32 | 1,28 |
| 18.00 | 133 | მოდენა-ბრეშა | 1,95 | 2,9 | 4,2 | 1,16 | 1,33 | 1,71 |
| 18.00 | 134 | სამპდორია-სიენა | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 18.00 | 135 | უდინეზე-რეჯინა | 1,7 | 3,1 | 5,3 | 1,09 | 1,28 | 1,95 |
| 23.30 | 136 | კიევო-რომა | 5,0 | 3,2 | 1,7 | 1,95 | 1,26 | 1,11 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა. XIII ტური** | | | | | | |
| | | **5 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 266 | ბოავიშტა-მორეირენსე | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 00.45 | 267 | მარიტიმუ-პორტუ | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 268 | ჟილ ვისენტე-ნასიონალი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.00 | 269 | რიუ ავე-გიმარაეში | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 20.00 | 270 | ალვერკა-აკადემიკა | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.00 | 271 | ბრაგა-ლეირია | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 22.00 | 272 | ამადორა-სპორტინგი | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| 00.15 | 273 | ფერეირა-ბენფიკა | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 274 | ბეირა მარი-ბელენენსეში | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **5 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 318 | სტანდარდი-ბრიუგე | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 319 | გენკი-ანდერლეხტი | 2,9 | 3,3 | 2,25 | 1,54 | 1,26 | 1,33 |
| 23.00 | 320 | ლიერსი-ვესტერლო | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 23.00 | 321 | ლუვიერი-სტ.ტრუიდენი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 23.00 | 322 | ანტვერპენი-გენტი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
| 23.00 | 323 | ლოკერენი-ბეერსხოტი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 23.00 | 324 | მუსკრონი-შარლერუა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 325 | მუსკრონი-შარლერუა 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 326 | სერკლი-ბევერენი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 18.00 | 327 | მონსი-ჰეუსდენი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. XX ტური** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 342 | ადმირა-მატერსბურგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 343 | გრაცერი-კერნტენი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 344 | გრაცერი-კერნტენი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 345 | პაშინგი-ბრეგენცი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 346 | ზალცბურგი-ავსტრია | 3,4 | 3,3 | 2,0 | 1,67 | 1,25 | 1,24 |
| 19.00 | 347 | რაპიდი-შტურმი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 348 | რაპიდი-შტურმი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **დანია. სუპერლიგა. XX ტური** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 353 | ნორდსიელანდი-ორჰუსი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,65 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 354 | ჰერფოლგე-ვიბორგი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 18.00 | 355 | მიდტიულანდი-ფრემი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.00 | 356 | კოპენჰაგენი-აკადემისკი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 357 | კოპენჰაგენი-აკადემისკი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 358 | ესბიერგი-ოდენსე | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 20.35 | 359 | ოლბორგი-ბრონდბიუ | 3,4 | 3,4 | 1,95 | 1,7 | 1,23 | 1,23 |
| | | **თურქეთი. სუპერლიგა. XV ტური** | | | | | | |
| | | **5 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 374 | ბეშიქთაში-ადანა | 1,15 | 5,6 | 14,0 | 1 | 1,06 | 4 |
| | 375 | ბეშიქთაში-ადანა 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,0 | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 376 | დიარბაქირი-ელაზიგი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 15.30 | 377 | სამსუნი-სებათი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 15.30 | 378 | ისთანბული-გალათასარაი | 4,2 | 3,3 | 1,75 | 1,84 | 1,23 | 1,14 |
| 21.00 | 379 | ტრაბზონი-გაზიანთეპი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 380 | მალათია-გენჩლერბირლიგი | 1,85 | 3,4 | 3,4 | 1,19 | 1,19 | 1,7 |
| 15.30 | 381 | დენიზლი-კონია | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 15.30 | 382 | რიზე-ბურსა | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 21.00 | 383 | ანკარაგუჯუ-ფენერბაჩე | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| | | **ხორვატია. 1.HNL. XVII ტური** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 397 | ინკერი-ზადარი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 16.30 | 398 | ზაგრები-ვარტექსი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 16.30 | 399 | სლავენი-მარსონია | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 16.30 | 400 | ოსიეკი-რიეკა | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 18.30 | 401 | კამენი-ციბალია | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 21.00 | 402 | ჰაიდუკი-დინამო | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| | | **ინგლისი. თასი. II ეტაპი** | | | | | | |
| | | **5 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 462 | უიკომბი-მენსფილდი | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 დეკემბერი | | | | | | |
| 18.00 | 463 | პიტერბორო-გრიმსბი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 464 | ბორნმუთი-აკრინგტონი | 1.35 | 4,0 | 8.0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 19.00 | 465 | ბრისტოლი-ბარნსლი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 466 | ჩელტენჰემი-ლეიტონი | 2,15 | 3,3 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,57 |
| 19.00 | 467 | კოლჩესტერი-ალდერშოტი | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 19.00 | 468 | მაკლსფილდი-კემბრიჯი | 2,25 | 3.2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 19.00 | 469 | ოლდემი-ბლეკპული | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 470 | როჩდეილი-ლუტონი | 3.3 | 3.2 | 2,05 | 1.62 | 1,26 | 1,24 |
| 19.00 | 471 | სკანთორპი-უესლი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 472 | საუთენდი-ლინკოლნი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 473 | სუონსი-სტივენიჯი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| 19.00 | 474 | ტელფორდი-ბრენტფორდი | 3,3 | 3,3 | 2,0 | 1,65 | 1,24 | 1,24 |
| 19.00 | 475 | უოკინგი-კიდერმინსტერი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 476 | იოვილი-ბარნეტი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 21.35 | 477 | გრეივსენდი-ნოტსი | 3,6 | 3,4 | 1,8 | 1,74 | 1,19 | 1,17 |
| | | 7 დეკემბერი | | | | | | |
| 17.00 | 478 | ბარტონი-ჰარტლპული | 3,6 | 3,4 | 1,8 | 1,74 | 1,19 | 1,17 |
| 19.00 | 479 | პორტ ვეილი-სკარბორო | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| | | შვეიცარია | | | | | | |
| | | თასი. 1/4 ფინალი | | | | | | |
| | | 7 დეკემბერი | | | | | | |
| 17.30 | 512 | ანიი-ვილი | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 17.30 | 513 | მეირინი-ციურიხი | 2,8 | 3,3 | 2,2 | 1,51 | 1,23 | 1,32 |
| 17.30 | 514 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 2,8 | 3,3 | 2,2 | 1,51 | 1,23 | 1,32 |
| 17.30 | 515 | თუნი-სტ.გალენი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 6 დეკემბერი | | |
| 16.30 | 5312 | ნიუკასლი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5313 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5314 | ფულემი-ბოლტონი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5315 | ლიდსი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5316 | ლესტერი-არსენალი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5317 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.85 | 1,75 |
| 19.00 | 5318 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5319 | ტოტენჰემი-ვულვერჰემპტონი | 1.8 | 1,8 |
| 18.30 | 5320 | მიუნხენი-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5321 | დორტმუნდი-ჰერტა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5322 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5323 | ვერდერი-ბაიერნი | 1,55 | 2,1 |
| 18.30 | 5324 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 5325 | აინტრახტი-ჰანოვერი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 5326 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 1,6 | 2,0 |
| 21.00 | 5327 | ემპოლი-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 5328 | ლაციო-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| | | 7 დეკემბერი | | |
| 18.00 | 5333 | ევერტონი-სიტი | 1,75 | 1,85 |
| 20.05 | 5334 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1,75 | 1,85 |
| 20.30 | 5335 | კიოლნი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 20.30 | 5336 | შალკე-მიონხენგლადბახი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5337 | ბოლონია-ანკონა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5338 | ინტერი-პერუჯა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 5339 | ლეჩე-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5340 | მოდენა-ბრეშა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5341 | სამპდორია-სიენა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5342 | უდინეზე-რეჯინა | 1,65 | 1.95 |
| 23.30 | 5343 | კიევო-რომა | 1,65 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 6 დეკემბერი | | |
| 16.30 | 5212 | ნიუკასლი-ლივერპული | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5213 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5214 | ფულემი-ბოლტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5215 | ლიდსი-ჩელსი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5216 | ლესტერი-არსენალი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5217 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 5218 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5219 | ტოტენჰემი-ვულვერჰემპტონი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 5220 | მიუნხენი-ჰანზა | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 5221 | დორტმუნდი-ჰერტა | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5222 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 5223 | ვერდერი-ბაიერნი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5224 | ვოლფსბურგი-ლაუტერნი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5225 | აინტრახტი-ჰანოვერი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5226 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 1,95 | 1,65 |
| 21.00 | 5227 | ემპოლი-მილანი | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 5228 | ლაციო-იუვენტუსი | 1,8 | 1,8 |
| | | 7 დეკემბერი | | |
| 18.00 | 5233 | ევერტონი-სიტი | 1,9 | 1,7 |
| 20.05 | 5234 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1,75 | 1,85 |
| 20.30 | 5235 | კიოლნი-ლევერკუზენი | 2,0 | 1,6 |
| 20.30 | 5236 | შალკე-მიონხენგლადბახი | 2,0 | 1,6 |
| 18.00 | 5237 | ბოლონია-ანკონა | 1.65 | 1,95 |
| 18.00 | 5238 | ინტერი-პერუჯა | 2,0 | 1,6 |
| 18.00 | 5239 | ლეჩე-პარმა | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 5240 | მოდენა-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5241 | სამპდორია-სიენა | 1,8 | 1.8 |
| 18.00 | 5242 | უდინეზე-რეჯინა | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 5243 | კიევო-რომა | 1,85 | 1,75 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 დეკემბერი | | | | | | |
| 16.30 | 5012 | ნიუკასლი-ლივერპული | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 19.00 | 5013 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 19.00 | 5014 | ფულემი-ბოლტონი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 19.00 | 5015 | ლიდსი-ჩელსი | 5.6 | 2,3 | 1,9 | 1,63 | 1,41 | 1,04 |
| 19.00 | 5016 | ლესტერი-არსენალი | 5.6 | 2,3 | 1,9 | 1,63 | 1,41 | 1,04 |
| 19.00 | 5017 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1,3 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,76 |
| 19.00 | 5018 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 19.00 | 5019 | ტოტენჰემი-ვულვერჰემპტონი | 1,95 | 2,25 | 5,6 | 1,04 | 1,44 | 1,6 |
| 18.30 | 5020 | მიუნხენი-ჰანზა | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1.5 | 1,5 |
| 18.30 | 5021 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.9 | 2,25 | 6,0 | 1,03 | 1,44 | 1,63 |
| 18.30 | 5022 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1,85 | 2,3 | 6,0 | 1,02 | 1,41 | 1,66 |
| 18.30 | 5023 | ვერდერი-ბაიერნი | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 18.30 | 5024 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 2,15 | 4,4 | 1,11 | 1,51 | 1,44 |
| 18.30 | 5025 | აინტრახტი-ჰანოვერი | 2,8 | 2,1 | 3,4 | 1,19 | 1.53 | 1,29 |
| 18.30 | 5026 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 21.00 | 5027 | ემპოლი-მილანი | 6,0 | 2,2 | 1,95 | 1.6 | 1,47 | 1,03 |
| 23.30 | 5028 | ლაციო-იუვენტუსი | 3,4 | 2,05 | 2,9 | 1,27 | 1.56 | 1,2 |
| | | 7 დეკემბერი | | | | | | |
| 18.00 | 5033 | ევერტონი-სიტი | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 20.05 | 5034 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 20.30 | 5035 | კიოლნი-ლევერკუზენი | 4,4 | 2,2 | 2,25 | 1,46 | 1,48 | 1,11 |
| 20.30 | 5036 | შალკე-მიონხენგლადბახი | 2,0 | 2,2 | 5,6 | 1,04 | 1,47 | 1,57 |
| 18.00 | 5037 | ბოლონია-ანკონა | 1,95 | 2,2 | 6,0 | 1,03 | 1,47 | 1,6 |
| 18.00 | 5038 | ინტერი-პერუჯა | 1,45 | 3,2 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,28 |
| 18.00 | 5039 | ლეჩე-პარმა | 3,8 | 2,0 | 2,7 | 1,31 | 1,57 | 1,14 |
| 18.00 | 5040 | მოდენა-ბრეშა | 2,4 | 2,0 | 4,6 | 1,09 | 1,57 | 1,39 |
| 18.00 | 5041 | სამპდორია-სიენა | 2,3 | 2,0 | 5,0 | 1,06 | 1,57 | 1,42 |
| 18.00 | 5042 | უდინეზე-რეჯინა | 2,05 | 2,15 | 5,6 | 1.04 | 1.5 | 1,55 |
| 23.30 | 5043 | კიევო-რომა | 5,0 | 2,15 | 2,15 | 1,5 | 1,5 | 1,07 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 6 დეკემბერი | | | |
| 16.30 | 5512 | ნიუკასლი-ლივერპული | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 19.00 | 5513 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 19.00 | 5514 | ფულემი-ბოლტონი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 19.00 | 5515 | ლიდსი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5516 | ლესტერი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5517 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5518 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5519 | ტოტენჰემი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5520 | მიუნხენი-ჰანზა | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 18.30 | 5521 | დორტმუნდი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5522 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5523 | ვერდერი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5524 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5525 | აინტრახტი-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5526 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5527 | ემპოლი-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5528 | ლაციო-იუვენტუსი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 22.30 | 5529 | ოსასუნა-სელტა | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 22.30 | 5530 | დეპორტივო-მალაგა | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 22.30 | 5531 | სოსიედადი-ბეტისი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 00.30 | 5532 | ბარსელონა-რეალი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| | | 7 დეკემბერი | | | |
| 18.00 | 5533 | ევერტონი-სიტი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 20.05 | 5534 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 20.30 | 5535 | კიოლნი-ლევერკუზენი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 20.30 | 5536 | შალკე-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 18.00 | 5537 | ბოლონია-ანკონა | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 18.00 | 5538 | ინტერი-პერუჯა | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 18.00 | 5539 | ლეჩე-პარმა | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 18.00 | 5540 | მოდენა-ბრეშა | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 18.00 | 5541 | სამპდორია-სიენა | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 18.00 | 5542 | უდინეზე-რეჯინა | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 23.30 | 5543 | კიევო-რომა | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 20.00 | 5544 | ალბასეტე-რასინგი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 20.00 | 5545 | მალიორკა-ვალიადოლიდი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 20.00 | 5546 | მურსია-ვილიარეალი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 20.00 | 5547 | სევილია-სარაგოსა | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 22.00 | 5548 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 24.00 | 5549 | ვალენსია-ბილბაო | 3,0 | 2.8 | 2,0 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.12 16.30 | 5601 | ინგლისი პლ (XV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 06.12 18.30 | 5602 | გერმანია ბლ (XV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 06.12 21.00 | 5603 | იტალია A (XII) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 06.12 22.30 | 5605 | ესპანეთი Iლ (XV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 05.12 22.00 | 5606 | საფრანგეთი Iლ (XVII) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 05.12 23.00 | 5607 | პორტუგალია სლ (XIII) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| 05.12 23.30 | 5608 | ბელგია Iლ (XV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 დეკემბერი | | | | | | | | | |
| 16.30 | 5112 | ნიუკასლი-ლივერპული | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 19.00 | 5113 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 5114 | ფულემი-ბოლტონი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 5115 | ლიდსი-ჩელსი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,1 |
| 19.00 | 5116 | ლესტერი-არსენალი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,1 |
| 19.00 | 5117 | მანჩესტერი-ა.ვილა | 1,4 | 25,0 | 50,0 | 3,5 | 6,0 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 19.00 | 5118 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 5119 | ტოტენჰემი-ვულვერჰემპ. | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.30 | 5120 | მიუნხენი-ჰანზა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.30 | 5121 | დორტმუნდი-ჰერტა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.30 | 5122 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.30 | 5123 | ვერდერი-ბაიერნი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 | 5124 | ვოლფსბ.-კ.სლაუტერნი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 5125 | აინტრახტი-ჰანოვერი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.30 | 5126 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 21.00 | 5127 | ემპოლი-მილანი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 23.30 | 5128 | ლაციო-იუვენტუსი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| | | 7 დეკემბერი | | | | | | | | | |
| 18.00 | 5133 | ევერტონი-სიტი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 20.05 | 5134 | საუთჰემპტ.-ჩარლტონი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 20.30 | 5135 | კიოლნი-ლევერკუზენი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 20.30 | 5136 | შალკე-მ.გლადბახი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 5137 | ბოლონია-ანკონა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.00 | 5138 | ინტერი-პერუჯა | 1,5 | 25,0 | 50,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 18.00 | 5139 | ლეჩე-პარმა | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 18.00 | 5140 | მოდენა-ბრეშა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 5141 | სამპდორია-სიენა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 5142 | უდინეზე-რეჯინა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 23.30 | 5143 | კიევო-რომა | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# განგსტერი დისნეი ლენდიდან
## ზაზა ფაჩულია ითმენს, მაგრამ ჯერ ვერ იგებს

ნბა-ში დღეს ბევრი ნამდვილად არ ისურვებდა ზაზა ფაჩულიას ადგილზე ყოფნას. „ორლანდო მეჯიქის" ქართველ ცენტრს მცირე ხნით უწევს თამაში და მისი სტატისტიკური მაჩვენებლებიც ვერ მოგვხვდება თვალში. კეთილი, მაგრამ აბა, თავად ფაჩულიას ჰკითხეთ? გიპასუხებთ, რომ „ორლანდო" ზედგამოჭრილია მისთვის; იქ დახვეწა-განვითარების კარგი პერსპექტივა აქვს და თუ დღეს არ ათამაშებენ, დარწმუნებულია, მისი დროც მოვა, ჯერ ხომ მხოლოდ 19 წლისაა. გუშინწინ ზაზას „ორლანდო" — „ნიუ ორლეანის" დასრულების შემდეგ დავუკავშირდით და მასთან საუბარი, ცხადია, ამ მატჩით დავიწყეთ



— ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ, 20 წუთი აქამდე არასდროს ვყოფილვარ მოედანზე. კარგი იქნებოდა, რომ მოგვეგო, ორმაგად გავიხარებდი.

**— ახალი მწვრთნელი ჯონი დევისი თავიდან არ გენდობოდა, ახლა კი ახალბედის კვალობაზე საკმაო დროით გათამაშა. როგორი კაცია დევისი?**

— ერთი შეხედვით სხვებისგან არაფრით განსხვავდება, ჩვეულებრივი მწვრთნელია. დევისი კარგად მიცნობს, ნანახი აქვს ჩემი თამაში საზაფხულო ლიგაში, იგი ხომ დოკ რივერსის ასისტენტი იყო. საერთოდ, ყველა მწვრთნელი კარგია, თუ შენც კარგი ხარ. „ნიუ ორლეანთან" მატჩში დევისმა მხოლოდ იმიტომ მათამაშა ამდენი ხნით, რომ კარგად ჩავერთე თამაშში. ჩემი მთავარი გამარჯვება ის არის, რომ როცა დევისი არ მათამაშებდა, ცხვირი არ ჩამოვუშვი, პირიქით, ვარჯიშებზე უფრო ხალისიანი და მონდომებული ვიყავი. ამერიკაში შეუპოვრობას გიფასებენ.

**— ახლახან გაერიე ნბა-ში. რთულია ამერიკული კალათბურთის თამაში?**

— რთულია, მაგრამ თუ მონდომება გაქვს, არაფერი გაგიჭირდება. მნიშვნელოვანია, რომელ გუნდში მოხვდები. თუ თამაშის საშუალება არ მოგცეს, მხოლოდ ვარჯიშით შორს ვერ წახვალ. საერთოდ, ევროპაში ნათამაშებ კალათბურთელებს უფრო უადვილდებათ ნბა-ში, ვიდრე კოლეჯიდან მოსულებს. მართალია, მე საკმარისი დროით არ მიწევს მოედანზე ყოფნა, მაგრამ ჯერ ახალგაზრდა ვარ, ყველაფერი დროის ამბავია.

**— თქვი, მთავარია სად მოხვდები. „ორლანდოში" ყოფნას ალბათ არ უჩივი, მანდ ხომ არც ისე ძლიერი ცენტრები თამაშობენ...**

— გამიმართლა, „ორლანდოში" რომ მოვხვდი. აბა, „ლეიკერსში" რა მინდოდა, შაკილ ონილსა და კარლ მელოუნისთვის კონკურენციის გაწევა ურთულესი და დღესდღეობით წარმოუდგენელიც კია.

**— ენდრიუ დეკლერკი და სტივ ჰანტერი არ არიან შენზე ბევრად ძლიერი ცენტრები, ხუთეულში მოხვედრის პერსპექტივას როგორ შეაფასებდი?**

— ამ სეზონში ნამდვილად არ მინდა ხუთეულში ყოფნა, მიჯობს, შეცვლაზე შევიდე და სტაბილურად ვითამაშო. გამოცდილებას დავაგროვებ, ბევრ წვრილმანში გავერკვევი და ხუთეულზეც მერე ვიფიქრებ. ალბათ მომავალი სეზონისთვის მზად ვიქნები.

**— ბოლო მატჩში უხეიროდ არ გითამაშია, მასზე მეტად რომელი სხვა თამაში დაგამახსოვრდება?**

— იმდენი თამაშია, ყველას ვერ დაიმახსოვრებ. ჩემთვის დაუვიწყარია სადებიუტო მატჩი. მანამდე 4 შეხვედრა სათადარიგო სკამზე გავატარე და მოედანზე გასვლამ ამიტომაც მოახდინა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება. თანაც იმ თამაშში საკმაოდ შედეგიანი ვიყავი.

**— სადებიუტო მატჩში 6 ქულა ჩააგდე, შემდეგ კი უფრო გიჭირდა ქულების გროვება. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ტრეისი მაკგრეიდისთან გიწევს თამაში...**

— რა თქმა უნდა, მე ნაკლებად მაძლევენ პასებს, დიდი ჯახირი მჭირდება, ბურთს რომ დავეუფლო. ისე კი, მაკგრეიდისთან ერთად იმიტომაა თამაში კარგი, რომ მას მუდმივად დასდევს ორი მეურვე. მეტოქეებს, უჯობთ, ვთქვათ, მე დამტოვონ თავისუფალი, ვიდრე მაკგრეიდი ერთი კაცის ამარა. ასე რომ, ხშირად, ვრჩები თავისუფალი და მოქმედების არეალიც მეზრდება.

**— მაკგრეიდი ვახსენეთ და თუ მეგობრობ ამ სუპერვარსკვლავთან?**

— მოედანზე აბსოლუტურად ყველა ერთმანეთის მეგობარია, ცხოვრებაში კი თითქმის არა აქვთ ურთიერთობა. უცნაური კია, მაგრამ მოედანს გარეთ ყველა თავისთვისაა. ალბათ ოჯახებთან ატარებენ თავისუფალ დროს.

**— შენ ვისთან ხარ ხოლმე თავისუფალ დროს?**

— აქაური მეგობრები გავიჩინე. ძირითადად მეზობლები, მათთან ერთად ვერთობი. დისნეი ლენდთან ახლოს ვცხოვრობ და ხშირად დავდივარ იქ.

**— ნბა-ს მოთამაშე რომ ხარ, აქცევენ თუ არა ამას ყურადღებას, როგორი ურთიერთობა გაქვს უბრალო ხალხთან?**

— ნბა-ს კალათბურთელი ყველასთვის სამაგალითოა. დიდს თუ პატარას უნდა, რომ დაგიახლოვდეს. ასეთ შემთხვევაში სიფრთხილეა საჭირო, ისეთი ხალხი უნდა შეარჩიო საურთიერთოდ, რომ რამე ხიფათს არ გადაგყარონ.

**— ხიფათს ყველგან უნდა ერიდო, მოედანზეც კი... „ორლანდო" — „მინესოტას" მატჩს ვუყურე და ლამის იჩხუბე ერთ-ერთ მინესოტელთან...**

— ჰო, ნერვებს ავყევი, თანაგუნდელ შემონდ უილიამსს გამოვექომაგე. სხვათა შორის, იმ მატჩის შემდეგ შემარქვეს ქართველი განგსტერი.

**— საერთოდ, სხვა მატჩებშიც არაერთხელ აგიმაღლებია ხმა. ევროპაში უწყინარი იყავი, ნბა-ში კი...**

— ახალბედა რომ ხარ, ჯარიმებს არ გაძლევენ. დავუშვათ, გარნეტს შეუძლია, ხელში ჩაგცხოს, მაგრამ მსაჯები ყურსაც კი არ შეიბერტყავენ. მეც ამიტომ ვბრაზობ და მსაჯებს ვეკამათები.

**— რაღა გარნეტი მოიყვანე მაგალითად, სწორედ ის არ დააჯარიმეს შენს წინააღმდეგ შეტევაში თამაშისას „მინესოტასთან" მატჩში?!**

— მაშინ აშკარა იყო წესების დარღვევა. შეჯახებისას წავიქეცი და ან გარნეტი უნდა დაეჯარიმებინათ ან მე.

**— ბოლოს „ორლანდოს" გაუთავებელ წაგებებზე დაგეკითხები: ამის გამო რამე ცვლილებები ხომ არაა მოსალოდნელი?**

— მწვრთნელი გამოცვალეს, სხვა რა უნდა ქნან. შემადგენლობაც დაკომპლექტებულია და ალბათ მეტი არაფერი შეიცვლება ამ სეზონში. ჯერჯერობით არავინ ლაპარაკობს სიახლეებზე, ყველა მოგებას ელის. ნავსს რომ გავტეხთ, მერე ალბათ საქმეც გამოსწორდება.

**ირაკლი ბერტაია**

# უგრეხელიძემ NOVO MESTO იპოვა

**დავით უგრეხელიძის** უქმობა ალბათ მალე დასრულდება. სლოვენიური „სლოვანის" ყოფილმა ცენტრმა ამ ზაფხულს თბილისის „დინამოს" უთხრა უარი, იტალიურ „სიენასგან" ველი სიტყვასო, მაგრამ ამ საქმიდან საბოლოოდ არაფერი გამოვიდა და დღეს უგრეხელიძე ისევ სლოვენიაშია.

საქართველოს ნაკრების კანდიდატი სლოვენიის ჩემპიონმა „კრკამ" მიიწვია გასინჯვებზე. უგრეხელიძე უკვე ორ კვირაზე მეტია, ნოვო მესტოშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს. სლოვენიელებმა ოროთახიანი ბინა მისცეს, მის ტრანსფერსაც ბევრი არაფერი უკლდა, მაგრამ „კრკამ" ევროლიგაში მოსკოვის ცსკასთან სამარცხვინოდ წააგო, ხელმძღვანელობა გამოიცვალა და უგრეხელიძესთან ხელშეკრულების გაფორმებაც დროებით გადაიდო.



„კრკას" ახალი მწვრთნელი ახლა ყურადღებით აკვირდება ქართველს, გუნდთან ერთად ავარჯიშებს და როგორც უგრეხელიძის თბილისელი მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია გვამცნობს, სათადარიგო სკამზეც უზის ოფიციალური შეხვედრების დროს, უკვე თავისიანად თვლისო. კვარაცხელიასავე თქმით, რამდენიმე დღეც და უგრეხელიძე ოფიციალურად ჩაირიცხება „კრკაში".

**ირაკლი ბერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 3 დეკემბერი —

**ნიუ ორლეანი 106:91 ორლანდო**
ნიუ ორლეანი: დევისი (27 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა, 5 ჩაჭრა), მალუა (20 ქულა, 14 მოხსნა)
ორლანდო: ლუ (20), გირიჩეკი (5), მაკგრეიდი (29), ჰოვარდი, დეკლერკი (14); გუდენი (16 ქულა, 12 მოხსნა), ფაჩულია (10 წუთი, 4 ქულა, 6 მოხსნა), ჰარვი (2), სტრიკლენდი (1), ჰანტერი, ბოგანსი, გეინისი

**გოლდენ სტეიტი 109:117 დენვერი**
გოლდენ სტეიტი: კლაქსტონი (21)
დენვერი: მილერი (14), ლენარდი (38), ენტონი (26), ნენე (18), ელსონი (3); ბლიკინსი (12), ბერი (6), ბოუენი, ანდერსენი, ვაიტი
(ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

**პორტლენდი 97:95 ინდიანა**
ძირითადი დრო 88:88
პორტლენდი: სტუდემაიერი (17), მაკინისი (13), ვოლესი (17), რენდოლფი (34), დევისი (9); ვუდსი (4), პატერსონი (3), სტეფანია (10 წუთი, 0 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი), კეროლი
ინდიანა: არტესტი (21)

**სან ანტონიო 86:90 ლეიკერსი**
სან ანტონიო: დანკანი (30 ქულა, 15 მოხსნა), პარკერი (18)
ლეიკერსი: ბრაიანტი (21), ჯორჯი (18), მელოუნი (18 ქულა, 10 მოხსნა), პეიტონი (16), ონილი (15 ქულა, 16 მოხსნა, 9 დაფარება)

**ნიუ ჯერსი 93:96 მემფისი**
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (24)
მემფისი: გასოლი (19), პიუზი (19)

**ტორონტო 105:95 ბოსტონი**
ტორონტო: კარტერი (21 ქულა, 10 მოხსნა), მარშალი (21), უილიამსი (18)
ბოსტონი: პირსი (23), ბეიკერი (17)

**დეტროიტი 87:73 მაიამი**
დეტროიტი: ჰამილტონი (18), ოქური (17 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), ვოლესი (10 ქულა, 21 მოხსნა, 6 დაფარება)
მაიამი: ოდომი (21)

**ჰიუსტონი 107:101 იუტა**
ძირითადი დრო 94:94
ჰიუსტონი: მობლი (32), მინგი (20)
იუტა: კირილენკო (19), ჰარპრინგი (19)

**ფინიქსი 79:92 მინესოტა**
ფინიქსი: მარბერი (32)
მინესოტა: კასელი (27), სპრიუელი (21), გარნეტი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**სიეტლი 95:87 ნიუ იორკი**
სიეტლი: რადმანოვიჩი (21)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (24)

**კლიპერსი 90:80 კლივლენდი**
კლიპერსი: რიჩარდსონი (25)
კლივლენდი: ილგაუსკასი (24 ქულა, 12 მოხსნა), ბუზერი (14 ქულა, 21 მოხსნა)



ვლადიმერ სტეფანიამ ინდიანელებს ბურთი მოუხსნა

# საქართველოს ჩემპიონატი

4 დეკემბერი, ვერის ბაღი

**მაკაბი 73:104 თსუ**
20:35, 20:13, 13:30, 20:26
მაკაბი: ნინოშვილი (7), ტატუნაშვილი (12), წოწელია (14), ფიცხელაური (9), სუხიშვილი (15), ვაშაკიძე (14), კონჯარია (2), კაშია, პერტენავა
თსუ: ლეჟავა (5), მაისურაძე (16), ფანჩულიძე (3), მარხვაშვილი (28), ვეფხვაძე, კილაძე (20), შენგელია (9), სანიკიძე (2), კოკოლიშვილი (5), ნაცვლიშვილი (16), ორმოცაძე
მსაჯები: ლიკა ქავჟაია, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**დინამო 94:62 სსუ**
20:15, 23:16, 29:15, 22:16
დინამო: ელენტი (9), ბეჟანიშვილი (12), ხოშტარია (7), გამყრელიძე (6), ტუღუში (4), ლობჟანიძე (11), მინაშვილი (19), კეიდია (6), ჩუბინიძე (12), მუშკუდიანი (8)
სსუ: ერქვანია (4), აბულაძე (26), პატარაია (5), სორდია (8), ზანგურაშვილი, ფარღალავა (5), ქვილითაია (2), კანკია (10), ლუკავა (2), ონიკაშვილი, მიქაბერიძე
მსაჯები: ლიკა ქავჟაია, მაკა კუპატაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

4 დეკემბერი, რუსთავი

**რუსთავი 76:89 სტუ**

სატურნირო ვითარება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 11 | 2 | +269 | 24 |
| თსუ | 13 | 9 | 4 | +106 | 22 |
| სტუ | 12 | 9 | 3 | +197 | 21 |
| ბასკო | 10 | 8 | 2 | +238 | 18 |
| რუსთავი | 12 | 6 | 6 | +12 | 18 |
| მაკაბი | 12 | 4 | 8 | -98 | 16 |
| სსუ | 13 | 2 | 11 | -302 | 15 |
| ქუთაისი | 13 | 0 | 13 | -422 | 13 |

# სადაა პატარა კახი

## ვანო გრიქუროვი უდაბნოში ღაღადებს



*სახელოვანი ქართველი მძვრთნელი ვანო გრიქუროვი ქართულ გაჭირვებას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში პოლონეთში გაექცა. კახი კახიაშვილისა და გიორგი ასანიძის აღმზრდელი დღეს იქაური ნაკრების ლიდერ შიმონ კოლეცკის პირადი მძვრთნელია და ცხრა მთის იქით შრომა სათანადოდაც უფასდება. კარგმა სპეციალისტმა მეტი რა უნდა ისურვოს. გრიქუროვს კი მაინც დარჩა ერთი, თითქოს უპრეტენზიო სურვილი, მზადაა, ყველაფერი მიატოვოს და სამშობლოში დაბრუნდეს. თუნდაც ელემენტარულ პირობებში სამუშაოდ. ჩამოვიდა კიდეც ამ ზაფხულს, მაგრამ... ახლა გრიქუროვი კვლავ პოლონეთშია და თავის ცოდნას იქაურებს ახმარს. თუმცა ერთ დიდ ქართულ საქმეს სამშობლოს საზღვრებს გარეთაც უკეთებს — 16 წლის ცხინვალელ არსენ კასაბიევს, მისი თქმით მომავალ კახი კახიაშვილს ზრდის. მაგრამ რომელი ქვეყნისთვის იზრდება კასაბიევი? საქართველომ უკვე დაკარგა არაერთი ნიჭიერი და უკვე დიდი სპორტსმენი. მაგალითი გჭირდებათ? აგერ ბატონო — კახი კახიაშვილი!*

— მადლობთ რომ გაგახსენდით. ზაფხულის აქეთ გიორგი ასანიძის მეტი არავინ შემხმიანებია.

**— საქართველოში თქვენი დაბრუნება თითქმის გადაწყვეტილი იყო. რა მოხდა?**

— ზაფხულის დასაწყისში თბილისიდან დამიკავშირდნენ და დაბრუნება შემომთავაზეს. მაგრამ ჩემი ჩამოსვლა ბიუჯეტის სეკვესტრს დაემთხვა და ჩვენს მოლაპარაკებაზე ალბათ ცუდად ამანაც იმოქმედა. ორი თვე ამაოდ ველოდი პირობების შესრულებას, შემდეგ კი მივხვდი, ცდას აზრი აღარ ჰქონდა და აქაური ვარიანტიც რომ არ დამეკარგა, ისევ პოლონეთში წამოვედი.

**— რა პირობები იყო ასეთი შეუსრულებელი?**

— პოლონური კონტრაქტის ანალოგი ნამდვილად არ მომითხოვია. ამის უფლებას ჩემს თავს არც მივცემდი. ძირითადი საბინაო პრობლემის გადაწყვეტა და ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შექმნა იყო, მაგრამ ჩემს თავს ვინლა ჩიოდა. მთელი ორი თვის განმავლობაში ელემენტარულად სავარჯიშო დარბაზში წყლისა და ელექტროენერგიის საკითხის მოგვარებაც კი ვერ მოხერხდა.

**— კვლავ პოლონეთში წასვლით თქვენი საქართველოში დაბრუნება საბოლოოდ გამოირიცხა?**

— მეგონა, მოლაპარაკებები 2-3 თვით გადაიდო, მაგრამ ნელ-ნელა ყველანაირი იმედი გადამეწურა.

**— პოლონეთის ძალოსნობის ფედერაციამ თქვენი მაშინდელი ნაბიჯი ხელფასის გაზრდის მისაღწევად წამოწყებულ ვაჭრობად მონათლა. ახლა როგორაა საქმე?**

— თბილისური მოლაპარაკების წარუმატებლად დასრულებისა და ისევ პოლონეთში დაბრუნების შემდეგ ისე გაიხარეს, რომ ყოველგვარი წყენა გადაავიწყდათ. ისე კი, თავიდან მართლაც შანტაჟი ეგონათ, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ საქართველოში წამოსვლის სურვილი წინასწარ გათვლილი ფანდი არ იყო, გამიგეს.

**— თუ საიდუმლო არაა, როგორი პირობები შეგიქმნეს?**

— ხელფასის მომატებაზე საუბარიც არ ყოფილა. ამას ვერც მოვითხოვდი, რადგან აქაურ პირობებში ისედაც მაქსიმალურ გასამრჯელოს ვიღებ. ბინაც მომცეს და მანქანაც მემსახურება.

**— გვითხარით, კონტრაქტი არ მზღუდავსო და სხვა წინადადებები თუ გაქვთ?**

— არ ვაჭარბებ, ბევრი შემოთავაზება მაქვს, რომელთაგანაც ერთი განსაკუთრებით სახარბიელოა. ამიტომ აჯობებს, ამ ეტაპზე საიდუმლოდ დავტოვოთ. ყველაზე რეალური კი ტუნისის ნაკრებისა და ამერიკის ერთ-ერთი ცენტრის ძალოსნობის კლუბის თავკაცის თანამდებობებია. ამ საკითხთან დაკავშირებით თითქმის ყოველდღე მირეკავენ, თუმც არც ერთზე დათანხმებას არ ვაპირებ. ასაკიდან გამომდინარე, კარიერის დასრულებამდე ბევრი აღარ დამრჩა და აქეთ-იქით სიარულის დროც აღარ არის. თან მეცხრე წელია, პოლონეთში ვარ და ძალიან შევეჩვიე. თუ აქედან სადმე წავალ, მხოლოდ საქართველოში.

**— მაშასადამე, ის პირობები, რომლებიც ამ ზაფხულს ვერ შეგისრულეს, კვლავაც რომ შემოგთავაზონ, ისევ დათანხმდებით?**

— წუთითაც არ დავფიქრდები.

**— ახლახან ვანკუვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე თუ იყავით?**

— არ წავსულვარ, რადგან მასში არც ერთი ჩემი სპორტსმენი არ მონაწილეობდა. ისე კი პოლონეთის ნაკრებმა 5 ლიცენზია მოიგო და ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს კონკურენციას აღარ გაუწევს.

**— ჩვენი ნაკრების ვანკუვერში არჩასვლას როგორღა შეაფასებდით?**

— ეს გადაწყვეტილება ადრევე მიიღეს და ალბათ გამართლებაც შეიძლება მოეძებნოს. სპორტსმენთა ტრავმებს და განსაკუთრებით დიდ ხარჯებს ვგულისხმობ. მაგრამ რაც დღეს საქართველოში ხდება, ჩემთვის გაუგებარია. ათენში მოხვედრის ბოლო შანსად გუნდს ევროპის ჩემპიონატიღა დარჩენია. მოსამზადებლად კი რატომღაც არაფერი კეთდება. თბილისურ პირობებში ვარჯიში შეუძლებელია. ძალოსნობის დარბაზის მოსაწყობი სახსრების გამონახვა და ელემენტარული დაფინანსება გადაუჭრელ პრობლემად იქცა. არადა, ისეთი ბიჭები მოდიან, ახლავე რომ სჭირდებათ მიხედვა.

**— კარგი თაობა მოდის?**

— თუკი ყურადღება მიაქციეს და ნორმალური სავარჯიშო პირობები შეუქმნეს, გარწმუნებთ, ქართულ ძალოსნობაში არნახული თაობა მოვა. ჩხეიძე, ცირეკიძე, სამუკაშვილი, მაჭავარიანი, გოგია. ეს ის ბიჭები არიან, რომელთაც შეიძლება, ძალიან დიდი მომავალი ჰქონდეთ.

**— არ გიხსენებიათ ცხინვალელი არსენ კასაბიევი, რომელიც პოლონეთში თქვენთან ვარჯიშობს.**

— კასაბიევი მომავალი ვარსკვლავია და არ გადავაჭარბებ, მას მეორე კახი კახიაშვილს თუ ვუწოდებ. არსენი 16 წლისაა და უკვე დიდებში ათეულისთვის ბრძოლა შეუძლია. ასეთი შედეგი კახის და შიმონ კოლეცკის გარდა ჩემს მოწაფეებში არავის ჰქონია. თუმც ერთი გულისტკივილიც უნდა გაგანდოთ. რაც ჩამოვიყვანე, მას შემდეგ ჩემს ხარჯზე ცხოვრობს. წესით, ამას არც უნდა ვამბობდე, მაგრამ მეც ძალიან მიჭირს, საქართველოდან კი არანაირი დახმარება არ ჩანს. თუ ასე გაგრძელდა, იძულებული გავხდები, კასაბიევი პოლონელებს დავუთმო.

**— პოლონელთა მხრიდან ამის თაობაზე რეალური შემოთავაზება ხომ არ ყოფილა?**

— ჯერ არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ მანამდე დიდი დროც აღარ რჩება. უანგაროდ ვინ რას გაგიკეთებს? კასაბიევის გადაბირებაზე რომ სერიოზულად არ ფიქრობდნენ, მას აქ ვარჯიშში პრობლემებს შეუქმნიდნენ. ახლა კი კვებაშიც შეღავათი აქვს, ოლიმპიური ცენტრის დარბაზშიც აცხოვრებენ და ფორმასაც აძლევენ. ამავდროულად არსენი ერთ-ერთ ადგილობრივ გუნდშიც გამოდის და სამიოდ დღის წინ ეს გუნდი ქვეყნის ჩემპიონად გახადა.

**— ქართველ და პოლონელ ახალგაზრდებს თუ შეადარებდით?**

— არავითარი შედარება. ჩვენ ბევრად განებივრებულები ვართ ტალანტებით, მაგრამ უყურადღებობით და უთავბოლობით ყველაფერს წყალში ვყრით. პოლონელები კი ყველა რესურსს მაქსიმალურად იყენებენ და შედეგებსაც აღწევენ. მარტო ის რად ღირს, რომ აქ 60 სპორტული დარბაზი და 100-ზე მეტი უმაღლესი დონის დასაქმებული მწვრთნელია. საქართველო კი მთლიანად რომ შემოიარო, 5-6 შტანგაზე მეტს ვერ იპოვი.

**— პოლონეთის და საქართველოს ნაკრებების შედარება თუ შეიძლება?**

— ამათ ნაკრებს ნებისმიერ ტურნირზე შეუძლია 5-6 მედლისთვის ბრძოლა. ჩვენ კი ასანიძის გარდა უმაღლესი კლასის ძალოსანი არავინ გვყავს. სიმართლე გითხრათ, დღეს საქართველოსთვის ესეც დიდი ფუფუნებაა და გიორგის კლასის ძალოსანის ღირსებიც არ ვართ. იგი კარგა ხანია, ნაკრების გამწევი ძალაა, მაგრამ დიდი შანსია, ევროპაზე ესეც ველარ შეძლოს. ჩვეული ფორმის აღსადგენად აუცილებლად აქ უნდა ჩამოვიდეს, თან, რაც შეიძლება მალე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩათვალეთ, რომ ძალოსნები ოლიმპიადაზე ვერ წავლენ. თბილისში მომზადებით ვერც ასანიძე მოახერხებს ლიცენზიის აღებას და ვერც სხვა.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, იბადება აზრი, რომ ქართული ძალოსნობა ბოლო დღეებს ითვლის.**

— ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ დღეს რომ საქართველოში სპორტის ეს სახეობა საერთოდ არსებობს, მხოლოდ გიორგი ასანიძის დამსახურებაა. თუმც ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მან სერიოზულ მწვერვალებს სხვა ქვეყანაში ვარჯიშით მიაღწია. ამ გზით სიარული კი კატასტროფის მომასწავლებელია. სჯობს დროზე ავტეხოთ განგაში ძალოსნობის გადასარჩენად, თორემ მერე შეიძლება გვიანი იყოს.

**— ევროპის ჩემპიონატზე ჩასვლას თუ აპირებთ?**

— აუცილებლად. იქ ჩემი პირადი მოწაფე და პოლონეთის ნაკრების ლიდერი შიმონ კოლეცკი გამოვა. ასანიძეს და მას ერთად ვუგულშემატკივრებ.

**— კოლეცკის, ასანიძესა და კახიაშვილს თუ შეადარებდით ერთმანეთს?**

— დავიწყებ იქიდან, რომ კახი კახიაშვილი შეუდარებელია შედეგებითაც და მონაცემებითაც. კოლეცკის კი უფრო ასანიძეს შევადარებდი. მართალია, ტიტულების მხრივ უპირატესობა გიორგის მხარესაა, მაგრამ შიმონი ჯერ 22 წლისაა და უკვე ორგზის ევროპის ჩემპიონობასთან ერთად მსოფლიოსა და ოლიმპიური ვერცხლის მოგებაც მოასწრო.

**— ეს მან 94 კილოგრამში შეძლო, წლეულს კი თქვენი დაჟინებული მოთხოვნით 105-ში გადავიდა, ამით კახიაშვილს ხომ არ აარიდეთ?**

— რა თქმა უნდა, ეგ ფაქტორიც გავითვალისწინე. კახის ღმერთმა ნუ დამაპირისპიროს, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ კოლეცკის წონის მომატება ისედაც სჭირდებოდა. იგი საკმაოდ მაღალია და ეს აუცილებელია.

**— თან კახისთან ბრძოლაში წარმატების ნაკლები შანსი ექნებოდა.**

— პირიქით, უფრო მეტად კახიაშვილს გაუჭირდებოდა. იგი უკვე 35 წლისაა, რაც უნდა ძლიერი იყოს, ასაკი მაინც თავისას შვრება.

**— ბოლოს ოჯახზეც გკითხავთ. თქვენი რომელიმე ვაჟი ძალოსნობას ხომ არ მისდევს?**

— აქაურ სკოლაში სწავლასთან ერთად ორივე ვარჯიშობს, თუმც სერიოზულ სპორტსმენობას არ აპირებენ. უფროსი ალბათ ჩემს გზას გააგრძელებს. იგი 19 წლისაა და უკვე ისეთი სამწვრთნელო მონაცემები აქვს, ხშირად მაოცებს ხოლმე. ამის უმთავრესი მიზეზი საქმის შესწავლის სურვილთან ერთად ის გარემოა, რომელშიც გაიზარდა. უკვე ძალიან ბევრის სწავლა მოასწრო. ახლაც ჩემს გვერდითაა და მალე თამამად შემეძლება, საქმე გადავაბარო.

**— საახალწლოდ თბილისში ჩამოსვლას ხომ არ აპირებთ?**

— თუ გამომიშვეს, დეკემბრის ბოლომდე ერთი-ორი დღით აუცილებლად ჩამოვალ, ახალ წელს კი პოლონეთში შევხვდები.

**— და ბოლოს, საქართველოში მომხდარ ამბებს თუ ადევნებდით თვალს?**

— რა თქმა უნდა, ტელევიზორს ვერ ვცილდებოდი და მთელი სულითა და გულით მანდ ვიყავი. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ერთი ინფორმაციაც არ გამომიტოვებია, CNN-ის ნანახიდან დასკვნის გამოტანა მიჭირს. აქედან კომენტარის გაკეთება ცოტა ძნელია.

**ოთარ მაღლაკელიძე**



საქართველომ დაკარგა კახი კახიაშვილი და ვანო გრიქუროვი

**საქართველო იმდენად მდიდარია, რომ ნიჭის გაჩუქებას მიეჩვია და თავად აღარაფერი დარჩა**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

ხორვატია. 2-14 დეკემბერი



ესპანელებმა სერბებს სენსაციური მარცხი შეამთხვიეს

# მშვიდობიანი თრილერი

**მეორე ტური**

**კორეა 31:18 ჩეხეთი**
**ესპანეთი 33:27 სერბეთი**
**კოტ დივუარი 28:32 სლოვენია**
**უკრაინა 28:28 რუმინეთი**
**ანგოლა 22:26 რუსეთი**
**ავსტრალია 12:38 ხორვატია**
**გერმანია 30:27 უნგრეთი**
**ტუნისი 25:27 ნორვეგია**
**ურუგვაი 20:47 ავსტრია**
**ბრაზილია 15:33 საფრანგეთი**
**ჩინეთი 20:29 დანია**
**არგენტინა 16:24 იაპონია**

მეორე დღეს ყველაზე დაძაბული და სასეირო რუმინეთ-უკრაინის დაპირისპირება გამოდგა. მედიისგან თრილერად მონათლული თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და ლოგიკური შედეგით დასრულდა.

დასაწყისში უკრაინელებმა კარგად ისარგებლეს მეტოქეთა დაცვის შეცდომებით და მე-13 წუთისთვის ხუთბურთიანი მარაგი შეიქმნეს — 6:1. რუმინელებმა თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა, თუმც ტაიმი მაინც წააგეს — 11:14. შესვენების შემდეგაც კარგა ხანს სლავები იყვნენ წინ, მაგრამ შუა ტაიმში რუმინელებმა თავიანთ ლიდერ სტელუტა ლუჩას წინამძღოლობით ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, ხუთიოდ წუთში კი სამი ბურთითაც დაწინაურდნენ — 26:23. უკრაინელები მარცხისგან მეკარე ლარისა ზასპას ოსტატობამ და თავგანწირვამ იხსნა. 32 წლის გოლკიპერმა რამდენიმე უძნელესი ტყორცნა მოიგერია, მათ შორის ორი პენალტიც, მისმა თანაგუნდელებმაც იყოჩაღეს და ხუთ წუთში ანგარიში გათანაბრდა. ბოლო წუთზე აურელია ბრადეანუმ კვლავ დააწინაურა რუმინეთი, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ხუთი წამით ადრე უკრაინელთაგან საუკეთესო ოლენა ციგიცამ ზუსტი სროლით თავისიანებს ქულა მოუპოვა. ციგიცამ რუმინელებს 13-ჯერ გაუტანა, ლუჩამ კი ცხრა გოლი მიითვალა.

მოულოდნელი შედეგით დასრულდა სერბეთ-ჩერნიგორიისა და ესპანეთის შეხვედრა. პირინეელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და ექსიუგოსლავიელებს მთელი 60 წუთის განმავლობაში ერთხელაც არ მისცეს წინ გასვლის საშუალება. ესპანელებმა დამსახურებულად კი გაიმარჯვეს, მაგრამ რეიტინგით მსოფლიოში მესამე გუნდის ექვსბურთიან ჩაფლავებას ცხადია, ვერავინ ივარაუდებდა.

გამართლდა მსოფლიოს ჩემპიონ რუსთა მწვრთნელ ევგენი ტრეფილოვის პროგნოზი, ჩემი გოგოები ტურნირისთვის ასი პროცენტით ვერ არიან მზად და დასაწყისი მძიმე გვექნებაო. შარშანწინდელი საჩემპიონო შემადგენლობიდან ათნი კვლავ მწყობრში კი არიან, მაგრამ გუნდი დამაჯერებლად მაინც ვერ გამოიყურება. რუსებმა სასტარტო შეხვედრაში კორეას მხოლოდ ბოლო წუთზე გამოგლიჯეს მოგება, ანგოლელებთანაც მაგრად გაუჭირდათ, მატჩის ბოლომდე ათი წუთით ადრე მხოლოდ ერთი გოლით უგებდნენ — 20:19, თუმც საქმე ამჯერადაც მათთვის სასიკეთოდ დასრულდა.

გერმანულმა მანქანამ ჯიგარი და შემართება გამოამჟღავნა და შეძლო ერთ-ერთ ფავორიტ უნგრეთთან თითქმის წაგებული თამაშის შემობრუნება. მეტად დაძაბული მატჩი იყო — ანგარიში 16-ჯერ გაყაიმდა, ხოლო ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ სხვაობა ორ-სამ ბურთს არ ასცილებია. უნგრელებმა ტაიმიც მოიგეს (17:14) და შესვენების მერეც ინარჩუნებდნენ მეწინავეობას, მაგრამ ფინიშზე გერმანელებს მეორე სუნთქვა გაეხსნათ და ოთხი უპასუხო გოლი გაიტანეს. შეხვედრის ბედიც მაშინ გადაწყდა.

**გუშინ გვიან:**

**კორეა 27:21 ანგოლა**
**ესპანეთი 27:25 ბრაზილია**
**უნგრეთი 38:25 სლოვენია**
**უკრაინა 33:15 ტუნისი**
**ჩეხეთი 22:29 ავსტრია**
**სერბეთი 28:24 ხორვატია**
**გერმანია 30:28 ჩინეთი**
**ნორვეგია 45:13 არგენტინა**
**რუსეთი 38:15 ურუგვაი**
**საფრანგეთი 33:13 ავსტრალია**
**დანია 24:21 კოტ დივუარი**
**რუმინეთი 41:30 იაპონია**



## რეგულარული ჩემპიონატი

# ეი, სერგეი, შე...

## დეტროიტელებმა ფიოდოროვს 13 წელი შეახსენეს

— 3 დეკემბერი —

**დეტროიტი 7:2 ანაჰაიმი**
*2:0 4:1 1:1*
**1:0 მაუერსი (5), 2:0 ჰალი (15), 3:0 მოლტბი (29), 4:0 უილიამსი (30), 5:0 დაციუკი (34), 5:1 ფიოდოროვი (36), 6:1 დაციუკი (37), 7:1 შენაჰანი (42), 7:2 მარტენსონი (49)**

როცა ამ ზაფხულს სერგეი ფიოდოროვი „დეტროიტიდან“ „ანაჰაიმში“ გადავიდა, მას ამის საბაბი ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მაშინ გუნდმა ამ მოთამაშის მიმართ არაერთი კომპრომისი დაუშვა, ბევრი წინადადება მისცა, მაგრამ ფიოდოროვიცა და მისი აგენტიც ცივ უარზე იყვნენ. 13 რიგიანი სეზონის შემდეგ, რომელიც რუსმა „დეტროიტში“ გაატარა, განა ღირდა ამ გუნდის დატოვება? ალბათ, არა.

ცხადია, მატჩის წინ სერგეი ყველანაირად ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ ყველაფერი დაივიწყა, ყველაფერი მოინელა. მეტიც, იგი იმედს გამოთქვამდა, რომ ქომაგებმა მისი ნაბიჯი სწორად შეაფასეს, გაუგეს და თბილადაც მიიღებდნენ ძველ სარბიელზე, მაგრამ — ნუ გაგიკვირდებათ და — შეცდა. მისი ყინულზე გასვლა და ტრიბუნების ახმაურება ერთი იყო. არც სტვენა დააკლეს და არც უსიამოვნო შეძახილები. ბუბუნებდა სტადიონი. მაშინვე ნათელი გახდა, რომ ფიოდოროვი ასეთ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვერ გაუძლებდა. იგი დაიბნა და მისი განწყობა გუნდსაც გადაედო. თან „დეტროიტს“ წინა პლეი ოფში კატასტროფის შემდეგ „ანაჰაიმის“ ჯავრი სჭირდა, თან როგორი.

ერთი სიტყვით, სტუმრებმა თამაში ჯერ კიდევ დაწყებამდე წააგეს, რაც ყინულზე განვითარებულმა მოვლენებმაც ცხადყო. 30-ე წუთისთვის ყველაფერი გარკვეული იყო, თუმცა „დეტროიტმა“ მანამდე არ მოისვენა, სანამ მეტოქე სრულად არ გაანადგურა და ანგარიში სამარცხვინო არ გახადა. ყველაზე მეტად პაველ დაციუკმა(2 გოლი+2 პასი) მოიწადინა. სწორედ მას თვლიან გუნდში ფიოდოროვის მემკვიდრედ და მან ქომაგები ერთობ ასიამოვნა, ფეოდოროვს კი საფინალო სასტვენამდე არ მოეშვნენ, ბოლომდე აგრძნობინეს, რომ არაფერი დავიწყებიათ და არაფერი უპატიებიათ.

სერგეიმ ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ ამ დროს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს საკუთარ კარში შეაგდო. „არასდროს ვიფიქრებდი, რომ ეს დღე ამდენად ემოციური და დაძაბული იქნებოდა“ — ოხრავდა იგი მატჩის შემდეგ. რუსი მისმა თავკაცმა მაიკ ბებკოვმა კი დაიცვა, თქვა, ქომაგებს ასეთი რამ არ უნდა გამოემჟღავნებინათო.

**ატლანტა 4:6 ბოსტონი**
*2:2 1:2 1:2*
**1:0 კოზლოვი (1), 1:1 ტორნტონი (10), 2:1 ვიტიე (20), 2:2 გრინი (20), 3:2 მაკიკერნი (23), 3:3 გროშეკი (28), 3:4 კნუბლი (37), 4:4 საფარი (41), 4:5 ლაპოინტი (52), 4:6 ზამუნერი (59)**

**ფლორიდა 0:4 ოტავა**
*0:1 0:2 0:1*
**0:1 ხარა (2), 0:2 ალფრედსონი (27), 0:3 სპეცა (38), 0:4 ჰავლატი (49)**

**ფილადელფია 5:2 პიტსბურგი**
*2:1 2:0 1:1*
**0:1 ბრედლი (1), 1:1 რენიკი (6), 2:1 სომიკი (11), 3:1 უეინრიჩი (34), 4:1 ტერიენი (35), 4:2 აბიდი (53), 5:2 რეკი (56)**

**ჩიკაგო 2:3 ბუფალო**
*0:0 1:1 1:2*
**0:1 ბრიარი (31), 1:1 ბერარდი (33), 1:2 კალინინი (42), 1:3 აფინოგენოვი (53), 2:3 მაკლინი (59)**

**ედმონტონი 0:1 მინესოტა**
*0:1 0:0 0:0*
**0:1 გაბორიკი (11)**



სერგეი ფიოდოროვს დეტროიტში ავად შეხვდნენ

**კაროლინა 1:2 ნეშვილი**
*0:0 0:0 1:1 0:1*
**0:1 ლეჯვანდი (44), 1:1 ფრენსისი (44), 1:2 ჰარტნელი (64)**

NHL

| აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ფილადელფია | 24 | 15 | 5 | 1 | 3 | 76:46 | 36 |
| ნიუ ჯერსი | 23 | 12 | 6 | 0 | 5 | 55:39 | 30 |
| რეინჯერსი | 25 | 9 | 5 | 2 | 9 | 68:65 | 25 |
| აილენდერსი | 23 | 9 | 2 | 0 | 12 | 60:63 | 20 |
| პიტსბურგი | 24 | 6 | 4 | 1 | 13 | 47:84 | 17 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტორონტო | 26 | 13 | 5 | 2 | 6 | 68:68 | 33 |
| ბოსტონი | 24 | 12 | 4 | 4 | 4 | 69:57 | 32 |
| ბუფალო | 26 | 12 | 2 | 1 | 11 | 60:67 | 27 |
| ოტავა | 24 | 11 | 2 | 3 | 8 | 76:55 | 27 |
| მონრეალი | 25 | 11 | 2 | 1 | 11 | 55:60 | 25 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ატლანტა | 27 | 12 | 3 | 1 | 11 | 78:79 | 28 |
| ტამპა | 21 | 11 | 4 | 1 | 5 | 52:38 | 27 |
| ფლორიდა | 27 | 9 | 4 | 0 | 14 | 57:74 | 22 |
| კაროლინა | 25 | 7 | 7 | 1 | 10 | 50:62 | 22 |
| ვაშინგტონი | 25 | 8 | 1 | 1 | 15 | 66:75 | 18 |

| დასავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 26 | 15 | 2 | 0 | 9 | 88:60 | 32 |
| სენტ ლუისი | 22 | 14 | 1 | 1 | 6 | 59:48 | 30 |
| ნეშვილი | 24 | 13 | 1 | 0 | 10 | 62:60 | 27 |
| კოლუმბუსი | 24 | 8 | 3 | 1 | 12 | 51:65 | 20 |
| ჩიკაგო | 26 | 6 | 4 | 3 | 13 | 49:74 | 19 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 25 | 14 | 3 | 2 | 6 | 81:58 | 33 |
| კოლორადო | 24 | 14 | 2 | 1 | 7 | 75:59 | 31 |
| კალგარი | 22 | 10 | 1 | 3 | 8 | 51:55 | 24 |
| ედმონტონი | 25 | 10 | 3 | 0 | 12 | 67:76 | 23 |
| მინესოტა | 25 | 9 | 4 | 0 | 12 | 53:57 | 22 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლოს ანჯელესი | 24 | 12 | 1 | 1 | 10 | 60:57 | 26 |
| სან ხოსე | 25 | 8 | 8 | 2 | 7 | 61:62 | 26 |
| დალასი | 25 | 11 | 3 | 0 | 11 | 58:61 | 25 |
| ანაჰაიმი | 26 | 8 | 4 | 5 | 9 | 56:71 | 25 |
| ფინიქსი | 24 | 8 | 6 | 1 | 9 | 61:74 | 23 |



Euroleague

# ევროლიგა

## პირველი ჯგუფური ეტაპი. V ტური. 4 დეკემბერი

**A ჯგუფი**
**რომა 80:79 ოლიმპია**

**B ჯგუფი**
**ჟალგირისი 87:91 მაკაბი**
**სიენა 86:74 პანათინაიკოსი**
**უნიკახა 87:77 კრკა**

**C ჯგუფი**
**ვილერბანი 86:66 პამესა**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80



პანათინაიკოსელი ალვერტისი და სიენელი კაიჩიგი შეხმულან

# ისევ ლეიკ ლუისში

კანადური ლეიკ ლუისი სამთო თხილამურობის გარდა სნოუბორდისტების შეჯიბრსაც მასპინძლობს ხოლმე. ეს შთამბეჭდავი კადრებიც სწორედ ამ ამბისას გადაუღიათ.





REUTERS

# ჭორროლი-2

სიდნეიში ქალთა საჭოროლო ტურნირი გრძელდება და ინგლისელებმა ჰოლანდიელებს 1:0 მოუგეს. ფოტოზე ერთმანეთს ლივე ვან კესელი (ზემოთ) და მავანი დაუდგენელი ინგლისელი ჩაფხვნიან.



REUTERS



REUTERS

# ჭილყვავები

ჭილყვავები შესევიან შრილანკული გალეს საკრიკეტო მინდორს. ეგ ამბავი მაშინ მომხდარა, როცა რომ მასპინძლები ინგლისელთა ნაკრებს ერკინებოდნენ. ეს შლიაპიანი კაცი სტუმართა კაპიტანი გრემ ტორპია. მას ფრინველები ნაყვარება და ამიტომაც „აქშას“ ნაცვლად მათთვის პურის დაყრა უმჯობინებია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თაყართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხიმერიკი, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიციაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუხიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge